ლეონმანი იზიარებს მეცნიერ ანრი რაულსონის აზრს: „ურარტის ენას არა აქვს არარიგი ნათესაობა ელანდელ პაოსიან ენასთან“. პაოსიანი გამოვიდნენ ფრიგიიდან და ნელ-ნელა დაიპყრეს ფრიგიის აღმოსავლეთით მდებარე მდინდობნი, საიდანაც ძველი ურარტენი შემკვიდრენი გააძევეს და ზოგი ჩანთქეს და შესცვალეს მათი სახელი, ენა, სარწმუნოება, გარდამოცემანი თავიანთითა“.

ამასვე ამბობდა სომხური ისტორიოგრაფიის მამთავარი მოსე ხორანელიც ჯერ კიდევ ათეულობით საუკუნეების წინ: „ძველი სომეხთი უმაღლეს დონეზე ფლობდა უნარს შეერწყა ის ტომები, ვინც მათ ტერიტორიაზე მოდიოდა. ამას ადასტურებენ მრავალი ცხოვრება ტომთაგან წამომდგარი პიროვნებებიც, რომლებიც სხვადასხვა დროს მოვიდნენ ამ ქვეყანაში. მათგან წარმოიშვნენ მრავალი ცხოვანი დიდი სახელმწიფო მოღვაწენი და მეფენი, მე უკვე არაფერს ვამბობ სომეხთა განმანათლებელზე, წარმოშობით პართიელზე, წმინდა გრიგორზე, ანაკას ძეზე“. *История Армении Моисея Хоренского* .M.1893, с.221.

როგორც ვხედავთ, სომხური რელიგიის დამფუძნებელი წარმოშობით პართიიდან არის, ესე იგი წარმოდგენს თურქული წარმოშობის პარს.

მთელ რიგ სომეხ მეცნიერებს, ჯერ კიდევ სომხური დამწერლობის შემოღების გარიჟრაჟზე დაუსწავთ წარსულისა და აწმულის გაგებასა. საუკუნეთა მანძილზე აცალბებენ სხვათა ისტორიისა და წარსულს, ითვნიან და იმეცნიენ სხვათა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებსა და მიღწევებს.

თვით მოსე ხორანელი თავისი ხალხის შესახებ წერდა, რომ „როგორც თანამედროვე დროს, წარსულ დროშიც პაიკები არ იმენდნენ მეცნიერებისადმი ინტერესს, რომლებიც ვადიოციემდნენ სიმღერების საშუალებით. ამიტომ ზედმეტა საუბარი ჭკუასუსტი, უეცრი და ევლური ადამიანების შესახებ“. „ჩვენ (ესე იგი პაიკები) პატარა, მცირერიცხოვანი, სუსტი და ბევრ შემთხვევაში, სხვისი ბატონობის ქვეშ მცხოვრები ხალხი ვართ“. *История Армении Моисея Хоренского*.M....1893, с.4.

ეს მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა და დადასტურა შემდგომმა საუკუნეებმა.

საბედნიეროდ არსებობს სომეხთა შორის მეცნიერი და საზოგადო მოღვაწენი, რომელთა შეფასებები ობიექტურად ასახვენ წარსულსა და აწმულს, რეალობას ყოველგვარი შეღამაზებისა და სამკაულების გარეშე წარმოვიდგინენ.

ასე გვაცნობს პაიკების ნამდვილ სამშობლოს ბ. იშხანიანი ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში: „სომეხთა ნამდვილი სამშობლო - „დიდი სომეხთი“ არის მცირე აზია“ ბ. იშხანიანი, „კავკასიის ხალხები“ 1916 .

„დიდი სომეხთის“ სიზმარში ხილულ ზმანებას აცამტყვრებს თვით ბატონი იშხანიანი, მან აღიარა რომ, დასავლეთ შერბათიანის ტერიტორიაზე ისტორიულად არ არსებობდა სომხური სახელმწიფოები. ის წერდა, რომ „სომეხები დასახლებულნი იყვნენ კავკასიის სხვადასხვა ნაწილებში მხოლოდ უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში“. *Ишханян Б. Народности Кавказа* (Статистическо-экономическое исследование), Петроград, 1916, с. 16.

სომეხთა გაურკვეველ წარმომავლობაზე და მის გაურკვეველ წარსულზე საუბრობს თვით პაიკი მეცნიერი მანუკ ალაბეგიანიც: „სად არის სომეხი ხალხის ძირები, როგორ, როდის, რომელ დროში, საიდან და როგორ გზებთ მოვიდა ის აქ... ჩვენ არ ვფიქრობთ ზუსტად და ნათელ დასტურს ამისას“. მანუკ ალაბეგიანი, ცნობილი ლიტერატურატმცოდნე, ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, აკადემიკოსი, „სომხური ლიტერატურის ისტორია“, 1975.

„სომხური წყაროები პაიკის წარმოშობას და მის ხალხს სომეხთში განაკუთვნიებენ 2200 წელს ჩვენს ერამდის და მოჰყავთ ერთმანეთის გამოშრებაზე ბეღადების და მეფეებისა სია ჩვენს წელთაღრიცხვამდის, 800 წლამდის. თანამედროვე მეცნიერება მხარს არ უჭერს ამ ლეგენდას. ხალხებს ინდივიდებისაგან განსხვავებით უყვართ თავისი ასაკის მომატება...“ ამბობს პაიკი ისტორიკოსი ნ. პასტერმაჯიანი.

სომეხების მიერ დაჟინებულ სახელმწიფოებრი-

ობის ისტორიას ცივ წყალს ასხამს პაიკი ავტორი: „სომეხები არ ჰქონიათ სახელმწიფოებრიობა, ისინი არ არიან დაკავშირებული სამშობლოს გრძნობით და არ არიან დაკავშირებული პოლიტიკური ძალებით. სომხური პატრიოტიზმი მხოლოდ დაკავშირებულია საცხოვრებელ ადგილთან“. გვეორქ ასლანი, ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, „სომეხეთი და სომეხები“, 1914 .

პარიზში გამოცემულ წიგნში სომეხი გვეორქ ასლანი ასე ახასიათებს სომეხთის ისტორიის მამად წოდებულს: „ჩვენ უნდა მივიღოთ, რომ მოსე ხორანელი ამ თავის ზღაპრებს შაპავდა სირიული ზღაპრებისაგან ან კიდევ გაიგონა სომეხთის გარშემო მთარული ხურიტებისაგან და ოსტატურად შემოსა თავისი გამოგონებით. თვით სარგებლობდა სირიისა და ირანის წყაროებით. ისევე მისი ებრაული ომებისაგან მიითვისა ნაწილები, ეზებენის ეკლესიის ისტორიიდან, პასხალიდან და ძალაღუსედან“. გვეორქ ასლანი, „ისტორიული ეტიმოლოგია სომეხთის მოსახლეობის შესახებ“, პარიზი, 1909.

სომეხი მეცნიერის ჰოვანისიანის აღიარებით „მოკლე დროის გამოკლებით, ძველ დროში, მიწები გამდიდრი კლიმატიდან კავკასიამდის არასრული ეკუთვნოდათ სომეხებს“ Richard G.Hovannisian. *The republic of Armenia. Lps-An-s. vol.2, p 332.*

სხვა სომეხი მეცნიერი ასეთი აზრისაა სომეხთის ისტორიასა და მის ერთ-ერთ პირველ გამოადმწერელზე : „პირველი სომეხი დინასტია შედგება არა ისტორიული პიროვნებებით, არამედ გამოგონილი ზღაპრების პიროვნებებისაგან. თვით მოსე ხორანელი არ არის მე-5-ე საუკუნის ისტორიკოსი, არამედ ისტორიკოს-ფალსიფიკატორი, მცხოვრები მეშვიდე საუკუნეში“. აიკაზიანი, ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, „სომხური ისტორია“, პარიზი, 1919 .

ანალიტიკურ აზრს გამოთქვამს პაიკი ყარაღამანი თავის ლინდინო გამოცემულ წიგნში: „სომეხების წარსულის შესახებ არ არის ცნობები, რომლებიც შეიძლება ჩათვალოს ისტორიად ან გამოცემად. ქრისტიანობის მიღების შემდეგ მოიგონეს პაიკის ნოესის ნათესაობა. მიღებულია, რომ თორგომის შთამომავალია, ნოესის ძის იაფეტის ერთ-ერთი შვილიშვილია. რამეთუ ძველ ისტორიკოსთაგან ზოგიერთმა თორგომის სახელი, მოსხენიებული ებრაულ ისტორიულ წყაროებში, უჩვენებს როგორც სომეხთის ნაწილი, ოჯახი, მოდგმა, ერი თორგომისა. ამის შესახებ პირველი დაწერა მოსე ხორანელმა“. ყარაღამანი, „აღმოსავლური საკითხის ისტორია“, ლინდინი, 1905.

სომხური ისტორიოგრაფიის პანარმენიული იდეოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი პატკანოვი ასე ახასიათებს კაცობრივი ცივილიზაციის პიონერის სახელის დამწებელ საკუთარ ხალხს: „სომეხები არასოდეს თამაშობდნენ განსაკუთრებულ როლს კაცობრიობის ისტორიაში. ეს არ არის პოლიტიკური ტერმინი, არამედ არის ევოგრაფიული მხარის დასახლება, რომელზედაც განხლებულია სომეხთა ცალკეული დასახლებები. სომეხები ყოველთვის იყვნენ ცუდი მიწის მფლობელები, რომელზედაც ცხოვრობდნენ, მაგრამ ისინი ყოველთვის მონდომებთ ემსახურებოდნენ ძლიერებს, თავისიანთა გაყიდვით...“ ნ. პატკანოვი, ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, არმენისტი, „ვანის წარწერები და მათი მნიშვნელობა წინა აზიისათვის“, 1875.

თანამედროვე სომეხების საყვარელი მწერალი რაფფი (აკოფ მელიკ აკოფიანი) ნაწარმოებში სახელწოდებით „სამეველ“ სომხური ეთნოსის ისტორიის შესახებ აღიარებს შემდეგს: „ჩვენის ძალიან მწიერ ცნობებს. ჩვენი ლიტერატურა ვერ წავიდა საკელსო მწერლობის იქით“. *Раффи* (Акоп Мелик Акопян) *Самвел.Издательство Анаст.Ереван*, 1971, с. 16 „სომეხი ხალხის ისტორიის“ წიგნში აღნიშნულია, რომ „ჯერ კიდევ ვერაინ ვერაფრით დაამტკიცა, რომ ტიგრანი, არტაშესტი, არტაუაზი და სხვები სომეხები იყვნენ“. *История армянского народа*с.80

სინამდვილეში სახელწოდება „ჰაიასტანი“ აღმოცენდა XX საუკუნის 20-იან წლებში და გამოიყენებოდა არა როგორც ეროვნული ან ეთნიკური ტერმინი, არამედ პოლიტიკური ტერმინი. კანაფციანი, აკრიტიკებდა რა მეორე სომეხ მეცნიერს ა. ხაჩატრიანს, წერდა, რომ „ა. ხაჩატრიანი წიგნში „სომეხთის ისტორია „მიხი“ წერილობითი ნიშნების პერიოდში“ ჰყვება პაიასის ქვეყნის არმენებთან კავშირის შესახებ. მაგრამ მისი პასუხის სომხურ ტერმინ პაიასტან (პაიას თონე) (სახლი) ესე იგი „ჰაიასტანის სახლი“. შედარებით ანალიზი უჩვენებს, რომ სომხური გრამატიკული ნიშნების საპირისპირო წინაში წარმოადგენს ღია აკომოდაციას, ცრუ ეტიმოლოგიას“. *Канапциан Г. Хайаса*, с. 163.

ბიზანტიის ტერიტორიაზე სომეხებს უყვარდნენ, როგორც დესტაბილიზაციის ფაქტორის მატარებლებს, როგორც ინტრიგების, უწესრიგობების მხლართველ უცხო ელემენტს. ეს დადასტურა

გაგრძელება გვ. 12

ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა აზროვნებაში

საქართველოს კანონიერი ხელისუფლების გროზნოში ყოფნის პერიოდში მუდმივად იგრძნობოდა პრეზიდენტ გამსახურდიას ევროპაში მოგზაურობის აუცილებლობა. ეს ყურადღებას მიაპყრობდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ხელს შეუწყობდა მათი ობიექტურ გაშუქებას, კანონიერი ხელისუფლების ირგვლივ არსებული საინფორმაციო ბლოკადის გარღვევას და ნაწილობრივ მაინც გაანეიტრალებდა კარგად ორგანიზებულ ცილისმწამებლურ კამპანიას. ყველაფერი ამის დროულად მოხერხება ითხოვს შეუძლებელი იყო, რადგან ჯოპარ დუდაევის გამარჯვების შემდეგ მოსკოვმა ჩეჩნეთი თავად მოაქცია ბლოკადისა და დასავლური საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლებისათვის იქ მოხვედრა უკიდურესად გაძვირდა. თავის მხრივ, დასავლური მედიაც დიდად არ აქტიურობდა, რადგან იმთავითვე წინასწარ შემუშავებული „დემოკრატი ელცინისა“ და „აბრაგი დუდაევის“ შტამპებით იფარგლებოდა. ამასთან, დუდაევის ხელისუფლებამ მოსკოვის პირველი დღიდანვე ჩეჩნეთში განუწყვეტლად ეწვობოდა პროპაგანდას – ხან რუსეთის უშუალო მონაწილეობით, ხან შინაგანი „ოპოზიციის“ საშუალებით, რომელიც მოსკოვის მეხუთე კოლონის წარმომადგენლებს სიტუაცია უკიდურესად ფეთქებადსაშინო იყო.

უდაცო (და ამაში მოკვანებით დავრწმუნდებით), რომ ზვიად გამსახურდიას არ აპირებდა, ჩეჩნეთს გარიდებოდა და უფრო უსაფრთხო ადგილას გადაენაცვლა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი ისაა, რომ ჩეჩნეთში ყოფნა სანახევროდ საქართველოში ყოფნას ნიშნავდა ფიზიკურად და სულიერად; მეორე კი ის, რომ ჩეჩნეთში ყოფნით ზვიად ჩეჩენებსაც ამბავებდა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუპოვობას პმატებდა. ეს ყველაფერი ერთად კი ორასი წლის განმავლობაში მინაწილებული კავკასიური ერთიანობის გრძობის არნახულ გაცხოველებას იწვევდა. ამდენად, ლაპარაკი მხოლოდ ხანმოკლე მოგზაურობას ეხებოდა.

ასეთი მოგზაურობის პირველ, უშედეგო მცდელობას 1992 წლის ზაფხულში ჰქონდა ადგილი, როდესაც საქართველოს ეუთო-ში გაწევრიანების საკითხი დაიხილა. ეს პელსინკში, ეუთო-ს უმაღლესი დონის შეხვედრაზე უნდა მომხდარიყო, რომელიც ივლისში შედგა. ამას წინ უსწრებდა ეუთო-ს დამკვირვებლების ეიზიტი საქართველოში (ხელმძღვანელი – ბელგიელი ეიკინსონი), რომლებმაც „დემოკრატიული რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის საბანკეტო დარბაზიდან შეისწავლეს და შემდეგ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ. იქ „მხედრობის“ სადამსჯელო რეიდების შედეგად გაუბედურებულ შაოსან დედბიან შეხვედრაზე უარი თქვეს; დიუბუაგის მეთაურმა განაცხადა: ეს მოუა, რომელიც ვერაერთარ გაუღიანს ვერ მოახდენს საერთო შთაბეჭდილებას.

პარალელურად გროზნოში, ეუთო-ს ეგიდით, ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოს ორი საშუალო რანგის მიხედვე, ორივე ერთეულებით სლოვაკი – მილან ტოკარი და იოზეფ ვრობეცა ჩამოვიდნენ პრეზიდენტ გამსახურდიასთან შესახვედრად (1992 წელს ჩეხოსლოვაკია ეუთო-ს თავმჯდომარეობდა). ზვიადმა დეტალურად აღუწერა მათ საქართველოში მომხდარი გადატრიალება და მის შედეგად შექმნილი მდგომარეობა, აჩვენა თბილისში მიტინგების დარბევა-დახვერტვისა და სამეგრელოში ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციების ამსახველი ვიდეომასალა, რასაც სტუმრებმა ლამის მოქნარებით ადევნეს თვალი. ზვიად გამსახურდიამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ეუთო-ს მისიის დასკვნა ვერანაირად ვერ ჩათვლება სრულფასოვნად, თუ ის არ შეხედება კანონიერ პრეზიდენტს და პარლამენტს, რომლებიც არ გადადგარან და დევილობაში აგრძელებენ ფუნქციონირებას (ამ დროისათვის გროზნოში უკვე ჩატარებული იყო დევილი უზენაესი საბჭოს სესიის). სლოვაკებმა განაცხადეს: ეუთო-ს მისიასაც ძალიან სურს ამ შეხვედრის მოწყობა, მაგრამ ეს შეუძლებელია – საქართველოდან გროზნოში მოხვედრა პრაქტიკულად გამორიცხებულია. ზვიადი მათი თანდასწრებით ურეკავს ჯოპარ დუდაეის და ეითხება, ხომ არაა შესაძლებელი დასავლეთ საქართველოში მყოფი ეუთო-ს მისიის გროზნოში ჩამოყვანა. რამდენიმე წუთში დუდაევი პასუხობს, რომ უკვე გასცა ბრძანება და კივილიდან გროზნოსკენ მოძავალი სარეისო თვითმფრინავი სიხუმის აეროპორტში საგანგებო დაშვებას შესარულებს ერთ საათში, რათა იქ მყოფი ეუთო-ს მისია თან გამოიყოლოს. სლოვაკებს ფერი ეცვალათ და იძულებულნი გახდნენ, ეს ინფორმაცია ტელეფონით ეცნობინათ საქართველოში მყოფი მისიისათვის, სადაც ცივი უარი მიიღეს, რაშიც წინასწარვე არავის ეჭვი არ ეპარებოდა. ამას მოჰყვა საცოდავი ლუღბუღი: „ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ გადაწყვეტილებებს არ ვიღებთ, გარემოებები ხშირად სიმათლევზე ძლიერია“ და ა.შ.


ეს ორი დამოკიდებული ჩეჩნეთის რესპუბლიკის მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, შამილ ბენოს შევახვედრე. ჩეჩნები ნებისმიერ საგარეო კონტაქტს ძალიან აფასებდნენ – გასაგებია მიზეზების გამო. სლოვაკებმა ბენოს ინფორმაცია ინფორმირებულად მოისმინეს. შეხვედრა უაზროდ გაიჭიმა. ბოლოს ერთ-ერთმა სარკასტული ღიმილით გადმოძღაპარა: როგორც ჩანს, კავკასიაში პროტოკოლს პატივს არ სცემენო. მე ვუპასუხე: კავკასიაში პროტოკოლზე მეტად სტუმრის პატივისცემა ფასობს და აქ ცოცხს არავის გამოვიტანთ-მეტი. შეხვედრა დამთავრდა და ორივე მხარემ შუებით ამოიხუნტა.

პელსინკში ეუთო-ს სამიტზე „სამხედრო საბჭოს“ მეთაურ შევარდნაძესთან ერთდროულად ზვიად გამსახურდიას გამოჩენას რა სანადალი მოჰყვებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის. მიუხედავად ფინეთ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის – აილა ნინი-მანს, ფინეთის პარლამენტის წევრის, პეიკი რიიპარვის დაუდალავი მეცადინეობისა, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ არა მარტო ოფიციალური მიწვევა არ გამოუგზავნა პრეზიდენტ გამსახურდიას, არამედ კერძო მიწვევით ვიზაზეც კი უარი უთხრა. ეჭვგარეშეა, რომ ეს გადაწყვეტილება ფინეთის მთავრობას არ მიუღია – ასეთი გადაწყვეტილების მიღება შორს სცდება ერთი პატარა, თუნდაც დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობის კომპეტენციას. ამის შედეგად ეუთო-ს ისტორიაში ყველაზე უფრო სამარცხვინო და სასაცილო ფურცელი ჩაიწერა: საქართველოს სახელით „პელსინკის დოკუმენტზე“ საბჭოთა კავშირში პირველი „პელსინკის ჯგუფის“ დამფუძნებლის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველ თავისუფალ არჩევნებში

არჩეული პრეზიდენტის ნაცვლად დისიდენტების დევნაში გაწეულ სუკის გენერალსა და „სამხედრო საბჭოს“ მეთაურს მოაწერინეს ხელი, რომელსაც იმ დროისათვის ლეგიტიმურობის მოჩვენებით ნიშნებიც კი არ გააჩნდა.

1992 წლის აგვისტოში გროზნოდან ლიტვაში გაემგზავრე, სადაც პრეზიდენტის დაკავლებით სეიმის თავმჯდომარეს, ვიტაუსას ლანდსბერგის შეხვედი. ლანდსბერგისმა და აზერბაიჯანის ლიდერმა აბულფაზ ელჩიბეიმ პრინციპულა გამოიჩინეს საქართველოში მომხდარი მოვლენების შეფასებისას, რაც საყოველთაო დუმილისა და მითუმეტეს – „დემოკრატიული რევოლუციის“ აღტაცების ფონზე განსაკუთრებით დასაფასებელი იყო. ლანდსბერგისმა საქართველოში შევარდნადის დაბრუნების შემდეგ საჯაროდ განაცხადა: „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ვეჭვობ, რომ შევარდნადის საერთაშორისო ავტორიტეტი საკმარისი აღმოჩნდება რეიმის ლეგიტიმაციისათვის.“ ელჩიბეიმ 1992 წელს, სტამბოლის სამიტის დროს, შევარდნადისთან თავი შორს დაიჭირა: „თქვენ ქვეყნის არჩეული ლიდერი არ ხართ და იძულებული ვარ, თქვენთან ურთიერთობისგან თავი შევიკაო.“ (ეს ამბავი ბაქოში ყოფნისას მილიმეტრის მანძილზე თავმჯდომარემ, ისა ლამბარმა მამბო 1992 წლის შემოდგომაზე). ლიტვა ერთ-ერთი უკანასკნელი ევროპულ ქვეყნებს შორის, რომელმაც დამოუკიდებელი ურთიერთობა დაამყარა შევარდნადის მთავრობასთან. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ, ოპოზიციამ გადასულმა ლანდსბერგისმა კიდევ უფრო გაამძაფრა თავისი დამოკიდებულება უკანონო რეიმის მიმართ.

შეხვედრისას ლანდსბერგისს გადაეცემა პრეზიდენტის მადლობა აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის. მან თქვა, რომ ეს მაქსიმუმია, რისი



გაკეთებაც შეუძლია, რადგან დასავლეთის დიდი სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოში განხორციელებული მოვლენების მიმართ არასახარბიელოა; საპარლამენტო არჩევნებზე კარზე იყო მომდგარი და ლიტვის სახელმწიფო კომუნისტური ოპოზიციის ხმაურიც ამძიმებდა მდგომარეობას; აღნიშნა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგობა ძალიანობის გზით ხელისუფლებამო მოსულ რეიმთან ყოველგვარი ურთიერთობისა; თბილად გაისხენა საქართველოს თანადგომა ლიტვიისათვის მძიმე დღეებში 1991 წლის იანვარში, როდესაც სეიმის ირგვლივ, ბარიკადებზე, შტურმის მოლოდინში ხალხი მორიგებობდა (მათ შორის – თითქმის უცვლელად – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელისმომწერი, ბ-ნი შალვა წიკლაური); გაისხენა საქართველოდან გაგზავნილი მედიკამენტებისა და სხვა პუმანიტარული დახმარების დატვირთული თვითმფრინავიც; დაწერილებით გამოიკითხა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა; თქვა, რომ პარლამენტის დევნილობაში ფუნქციონირების სხვა შემთხვევას არ იცნობს; ძალიან აინტერესებდა სიტუაცია ჩეჩნეთში. ჩემი ჩასვლის ერთ-ერთი მიზანი იმის გაგრეკვა იყო, თუ რამდენად უსაფრთხო იქნებოდა პრეზიდენტ გამსახურდიასათვის ლიტვის ტერიტორიის სატრანზიტოდ გამოყენება (იმ დროისათვის გროზნოს აეროპორტი რუსების მიერ პრაქტიკულად ბლოკირებული იყო, ერთდროული თვითმფრინავი ვილნიუსში მარტოვებით დაფრინავდა). პასუხი ასე ვლერა: „მოხარული ვიქნები დაგეხმარო. საპატიო ყარაულს ვერ შეგპირდებით, მეგობრული შეხვედრა და თავშესაფარი კი გარანტირებული გაქვით...“ ბოლოს წარმატება უსურვა საქართველოს და ჩეჩნეთს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ოპოზიციამ გადასვლის შემდეგ ლანდსბერგისის საპარლამენტო ფრაქციის წევრებმა ლიტვის სეიმში ჩეჩნეთის მხარდაჭერი ჯგუფი შექმნეს, რომელიც ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვდა, რისთვისაც ათუფლ ათასობით ხელმოწერა მოაგროვა; მათივე მხარდაჭერით ლიტვაში გაიხსნა ჩეჩნეთის რესპუბლიკა-ინქერისი მუდმივი წარმომადგენლობა, რომელსაც წლების განმავლობაში ქ-ნი ამენათ სათივა ხელმძღვანელობდა.

1992 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში პრეზიდენტმა მითხრა, საერთაშორისო მივლინებისათვის მივმზადებულავი. მე უთხარი, რომ არანაირი საბუთი არა მაქვს, გარდა ჩეჩნეთის შსს მიერ შედგენილი პარადობის დამადასტურებელი დროებითი ცნობისა, რომელსაც ჩვეულებრივ პასპორტის დაკარგვის შემთხვევაში გასცემენ ხოლმე. ზვიადის თხოვნით ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ერთ დღე

ში დამიმზადა საბჭოთა „ნამგალ-უროანი“ უცხოური პასპორტი. ამ დროისათვის საპაერო ბლოკადა მოიხსნა და გროზნოდან სტამბოლში მეტ-ნაკლები სისშირით ჩარტერული რეისი დაფრინავდა. მივლინების შესახებ ცოლის გარდა არავისთვის მიიტყვამს. გაფრინის დღეს, 23 ნოემბერს, დილით, ჩეხოვის ქუჩაზე „კოსკოში“ მივედი დეტალური ინსტრუქციების მისაღებად. გამოირკვა, რომ მარტო არ მივეფრინავ და ჩემი თანამგზავრი თავად პრეზიდენტი გამსახურდიაა. გავემართეთ აეროპორტში, ავედით ცარიელ თვითმფრინავში და მფრინავების კაბინაში მოვთავსდით. ცოტა ხანში ჩეჩნეთის იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი შამსუდინ ოსკოვი* შემოვივითდა, რომელიც სტამბოლში დუდაევის საგანგებო დაკავლებით დაფრინავდა. ეს რეისი ნახევრადლეგალური იყო და ხან ბაქოს გავლით დაფრინავდა, ხან – პირდაპირ სტამბოლში. ამჯერად საქართველოს საინსპექტრო სამსახურმა თვითმფრინავი საქართველოს საპაერო სივრცეში არ შეუშვა და შემოვლითი გზით – კავკასიონის გაყოლებით – შავი ზღვის გავლით ვიფრინეთ.

სტამბოლში მსხვილი კომპანიის, Aslan Transmarin Shipping Trading and Industry Co. Inc., გენერალური დირექტორი, აიღინ კულევი დაგვხვდა და VIP სალონში მიგვიწვია. პასპორტები გამოვართვეს და რამდენიმე წუთში ჩარტერული ვიზებით დაგვიბრუნეს. იმ დროს თურქეთში პოსტ-საბჭოური სივრცის მოქალაქეებისათვის გამართული, გამოცხადებითი სავიზო რეჟიმი მოქმედებდა. აეროპორტიდან კომპანიის სათაო ოფისისაკენ გავემართეთ, სადაც კომპანიის მფლობელი იბრაჰიმ ასლანი, თურქეთის მეჯლისის რამდენიმე წევრი და კომპანიის „თოფ-შენეჯმენტის“ სხვა წარმომადგენლები დაგვხვდნენ. გაიმართა სახელდახელო სადილი. ასლანი, რომელსაც თურქეთის პრეზიდენტის, ტურგუტ ოზალის ოჯახთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, რამდენჯერმე იყო ნამყოფი გროზნოში, ერთხელ – ოზალის ვაჟთან ერთად. როგორც ჩანს, ჩეჩნეთთან სერიოზული ინტერესები აკავშირებდა. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის შესაფერისი დახვედრა მოუწევს. კომპანიის მფლობელმა ჰკითხა პრეზიდენტს, თუ რა გეგმები ჰქონდა. ზვიადმა უპასუხა, რომ აქვს მიწვევა გერმანიაში IGFIM*-ისაგან და შექმნილიდან დასრულდეს სურს იქ მოხვედრა. თურქმა მასპინძელმა იქვე გაატანა ჩემი პასპორტები კომპანიის ერთ-ერთ დირექტორს გერმანიის საკონსულოში ვიზების მისაღებად.

სადილზე ერთი საინტერესო ეპიზოდი მოხდა: კომპანიის წარმომადგენელმა გაერთიანებულ სამეფოში, ახლავდა კაცმა სახელად ზაქარია გუნდოგლუმ ზვიადს ჰკითხა: „მე წარმოშობით ლაზი ვარ. მართალია, რომ ჩვენ და გურჯები ბიძაშვილები ვართ?“ ამასზე ზვიადმა უპასუხა: „მე თავად ლაზი გახლავარ ნახევრად, დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი ლაზებთანაა დასხვებული და გურჯები და ლაზები ბიძაშვილები კი არა, ერთი ვართ.“ აღმოჩნდა, რომ დამხველუთა ლამის ნახევარი ლაზია. მათ შორის – მეჯლისის წევრებიც. ამ განცხადებით გაამაყებულნი საგროზნოდ გაიმალნენ მხრებში, რაც იბრაჰიმ ასლანს, მგონი, დიდად არ ებიჭნა. ამასობაში ვიზებზე გაგზავნილი კაცი გაოცებული დაბრუნდა და ამბობს: „იოსელს პირადად შეხვედი. გამსახურდიას გაგონებზე ნირი ეცვალა და პირდაპირ წამოიღო: მე ამ საკითხს მარტო ვერ გადავწყვეტ, მოსკოვს (და არა ბონს!) უნდა შევეთანხმო.“ საერთაშორისო თანამშრომლობის ამ მარგალიტმა საყოველთაო მხარდაჭერა გამოიწვია და ზვიადს გარამგებული პატივისცემით მიაჩერდნენ. მასპინძელმა ფრანგურტში თავის წარმომადგენელს დაურეკა, რომელმაც განაცხადა – პირდაპირ ფრანგურტში ჩამოფრინდეს და ვიზას აქვე გააკეთებო. ზვიადმა ეს გაუმართლებელ „სულელობად“ ჩათვალა.

დაურეკეთ აილა ნინიმას პელსინკში. მან ყურებს არ დაუჯერა, რომ ზვიადი სტამბოლშია. „თავი დაანებეთ გერმანიას, ჯერ ფინეთში ჩამოდი და მერე ვნახოთ. ჩემი საგარეო საქმეთა სამინისტრო იმდენად დარცხენილი წინა უარის გამო, რომ რეაბილიტაციის ამ საშუალებას ხელედან არ გაუშვებს და ვიზას დაუკონტროლებო მოგცემო...“ მართლაც, დღის ბოლომდე ფინეთის საკონსულოში ვიზები მოგვეცეს, მგონი პალკაციებიც კი არ შეგვეცხია.

ღამე SWISS HOTEL-ში გაავითეთ. დილით, სასტუმროში, საუზმისას, მიმტან კაცს, რომელიც ვეცხსახურებოდა, სახეზე გაოცება შევაძინე, რომელსაც ვერ მალავდა. შემდეგ ჩემი თანმხლები აიღინ კულევი როგორღაც დაუპირისპირებოდა და უკითხავს: ეს მართლა გამსახურდია თუ მისი ორეულიაო. საკმაოდ უჩვეულო შემთხვევაა ამ კლასის სასტუმროსათვის, სადაც მომსახურე პერსონალი არავის და არაფერს „არ ამჩნევს“.

მასპინძელმა დაგვხვედრა ორი ღია წრიული ავიბიბლითი სტამბოლი-ფრანგურტ-პელსინკი-სტამბოლი (ჩეჩნეთში დაბრუნების ერთადერთი შესაძლებლობად ხომ სტამბოლი რჩებოდა). ამას თან მოჰყვა მოლოდინული შეთავაზება: უცხოეთიდან ანკარაში დაბრუნებისას პრეზიდენტი ოზალი სტამბოლში რამდენიმე საათით განჩერდება და შემადგენელი ხანმოკლე შეხვედრის მოწყობა. ზვიადი სიამოვნებით დათანხმდა და მცირე ხნის შემდეგ იბრაჰიმ ასლანის თანხლებით სტამბოლის სამხედრო აეროდრომსაკენ გავეშურეთ, სადაც ოზალის თვითმფრინავი დაეშვა. ადგილზე რომ მივედით, თვითმფრინავს უკვე ანკარაში გასაფრენად ამზადებდნენ. ასაფრენ ბილიკზე რამდენიმე წუთიანი გულთბილი შეხვედრა შედგა. მე შორახლოს ვიდექი. ზვიადის ვეკრდით ტანმორილი ოზალი ოღანე კომიკურად გამოეფრებოდა. „ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან შეხვედრის საშუალება მომეცა,“ – თქვა ოზალმა და ასლანს მიუბრუნდა: „ყველაფერი გააკეთეთ, რაც ძალ-გამით. მეზობელს გაჭირვებაში უნდა დაეხმარო.“ აეროდრომიდან რამდენიმე წუთით, მასპინძელმა, რომელიც ძალიან კმაყოფილი ჩანდა, ზვიადს უთხრა: „დაბრუნებისას პრეზიდენტ ოზალთან უფრო ხანგრძლივ და სერიოზულ შეხვედრას მოგიწყობთ ანკარაში.“

სადამოს ფრანგურტის გაკვლით, პელსინკში გავფრინდით და დანიშნულების ადგილზე ნამუადამეკს, 25 ნოემბერს ჩავყვით. პელსინკის აეროპორტში ზვიად გამსახურდიას რეპორტიორების დიდი ჯგუფი, აილა ნინიმა და სხვა ფინელი მეგობრები, იქაური ქართველი

თავისუფლება სოფნი გასასურდის!!!

დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია 2009 წლის 28 ოქტომბრიდან იმყოფება უკანონო პატიმრობაში, რომელსაც 2010 წლის 8 აპრილს სააკაშვილის ტირანული რეჟიმის სასამართლომ 9 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა. ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამ დროისათვის, უკიდურესად მძიმეა.

მოვითხოვთ მისი უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას!

მამას მონატრებული პატარა თამარ გამსახურდია კი, აი ამ შესანიშნავ და დიდებულ ლექს უძღვნის პატიმრობაში მყოფ მამიკო - ცოტნეს.



სულ, დაიცა...

საით მიიღები, სულ, დაიცა, სულ მბორგავო, შესდექ! ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს, უნდა ელოდო შემდეგს.

სულო, გასდიე სალი კლდის არნივს, ლაჟვარდში შვება იცან, ვარსკვლავთა ნალკოტს ოცნებით ასწვი და ეამბორე მინას.


აუნყვეტია კლდეთით პრომეთეს, დამცხრალა მთებში ზვავი, ადევნებინარ ცაში კომეტებს ზევსთან შეკრული ზავით.

სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს, მნათობთა ბადეს გაშლილს, განგებას შენთვის დაურახტია ცეცხლის მფრქვეველი რაში.

ჰა, გარიჟრაჟმა ცეცხლი დაგინთო, აღდგომა კვირის დამდეგს, ხამს, სინანულის ზღვაში ჩაყვინთო, მოკვდი და მკვდრეთით აღსდექ!

რა უკვდავების ქნარით გვიგალობ, ეს რა სამკვიდრო გერგო, ბოროტებასთან შეურავლო მარადისობის ნერგო.

სად მიისწრაფი, სულ, დაიცა, სულ მბორგავო, შესდექ! წმინდა ლაჟვარდით უნდა გაიცრას, რომ მიემთხვიოს ედემს.



სიტე დეზარი, მხატვართა საერთაშორისო ცენტრი. ნუხელ მთელი ღამე ქარიშხალი და წვიმა იყო. ჩემი ახალი ატელიე მდინარე სენას და ნოტრდამს გადაჰყურებს. დილიდანვე წვიმს და ქარის თარეშია გარეთ. გადანყვიტი, გამოდარებას დაველოდები და შემდეგ ვეახლები ლუვერს. დღეს შედეგებთან მინდა დროის მიზარება. უცნაური ფიქრი და მოულოდნელი აზრთა დინება მათ წინ მეწყება: აზრი ძალიან გამიფაქიზდა, განსაკუთრებით, დროის ცნებაზე – ალბათ წლოვანებასაც მოაქვს.

როგორ უმოწყალოდ გარბის დრო – ოხერტიალი. უამთა სვლა არავის და არაფერს ემორჩილება, ის ხომ დედამიწის ბრუნვის და მზის მიმოქცევისაგან ნატყორცნი კონკრეტული ფორმაა, მათგან დახარჯულის კოსმოსური უკუგება, რომელიც ჩვენს ირგვლივ ყველაფრის განმსაზღვრელია. დედამიწაზე, მცენარეებიდან დაწყებული, ყოველთა ცოცხალთა ხანგრძლივობის დამთვლეელია. ჩვენი მზის სისტემის დრო (სამყაროს დროის გლობალიზაცია სრულიად სხვაა და მზეს თავადვე აბერებს...) ჰბადებს, ზრდის, ყმანვილობიდან ხანში შეჰყავს და აბერებს. სიბერე კი გამოიფიტება, გარდაუვალის დახარჯვაა და სიკვდილთან მიმავალი ათვლაა. მერმე, უმთავრეს სისტემაში შემავალი ერთ-ერთი ჯაჭვის რგოლის ჩამოვარდნა და თანმიმდევრობით ახლოს ასხმაა, რომელიც ურთულეს სახეს და საკვირველ ფორმას წარმოადგენს.

რადგანაც ასეთ დღეშია ადამიანი და

არსებულის სახება

ამონაწილი ანთიმედი დელიურბიდან

მწარედ განიცდის იმ უმძიმესი მოდელის გამოცხადებას, რის შედეგად სვლათა გარდაუვალობის კანონია ჩადებული და ამ სამყაროსეულ პროცესს, უტყუარ გადაუდებელ და უშეღავათო წესრიგს, უსასტიკესი სიკვდილის ფენომენი ასრულებს...

დაბადება მტკივნეულია, საიდანაც მოსვლაა, ხოლო გარკვეული დროის შემდგომ, მოსულის სხვაგან, უსაგნობაში, უსახობი, არაფიზიკურში, მხოლოდ სულიერში გასვლა ხომ უფრო მწარეა, ასევე სევდითა და გლოვითაა მოცული, რადგანაც ადამიანმა თავისი სრული სახე – ფორმა და სიღრმისეული მდგომარეობა გარდაცვალების შემდგომისა არ იცის: ამ თემაზე დამამშვიდებელ აზრებს გვიყვებიან და, სტიქიურ დინებას მინდობილი, უსასრულო ბნელში ვართ. უკიდურესად უსუსური, უზარმაზარ უხილავ ოკეანეს ზვარაკად შეწირულნი, დიდი თუ პატარა ერთნაირად ვბარდებით, რადგანაც მეცნიერული ანალიზით თუ მტკიცებულებით ვერჯერობით გაუხსნელია (არის ზოგადი ვერსიები), ამიტომ, ადამიანი ღრმა სულითმირი გლოვანია. სამღვდლოების მაღალ იერარქს უახლოესი ადამიანი დაეღუპა, მოძღვარი კინაღამ გადაჰყვა გლოვას და განცდას, რადგან უსოვარი დროის ადამიანურმა ინსტიქტმა იმძღვრა მასში.

ჩვენ, სიკვდილის შემდგომ პერიოდს მხოლოდ მიახლოებით, პირობითად ვანალიზებთ, მთავარი სახე, ჯერაც ვერაა გახსნილი. ამ საოცრების აღმოჩენის შემდგომ, ადამიანი უფრო ოპტიმისტი იქნება, სულიერად ძლიერი და არ ექნება უსაშველო ძალისაგან განწირულის თუ შეწირულის განწყობილება.

დღეს დილიდან ლუვერში ვიყავი. მივდიოდი მხოლოდ ქანდაკება ნიკეასთან, სურათ „ჯოკონდასთან“, ვენერა მილოსელთან, პრაქსიტელის „აფროდიტესთან“, მიქელანჯელოს „მიჯაჭვულ მონებთან“. ყველგან დროსთან და სიკვდილთან გამარჯვებაა იმ უდიდესი ფორმიდან, შემოქმედებითი კანონებიდან გამომდინარე. ჩვენ ბოლომდე არ ვართ გარკვეული ამ სახის ურთულეს რაობებში, საიდან მოდის ეს უკვდავება სიციცხლისაგან შექმნილი ხელოვნების ნანარმოებებში ამდაგვარი გარინდვა და უსასრულო დადუმება, თანაც უსაზღვრო დროით. ხომ არაა ამ ნანარმოებებში ჩადებული სულის ის მარადიულობა, რასაც ჩვენ ბიბლია გვასწავლის. ალბათ დადუმებული ფორმულაა ამ შედეგებში გაცხადებული

კოსმოსური ძალისაგან, რა თქმა უნდა, უფლის შთაგონებით, პრაქსიტელის ქალის ფიგურაში „აფროდიტე“, ის სიციცხლე და სულიერებაა ჩასახული, რაც კოსმოსში გასვლის შემდეგ მოიხილება და არ გვეჯერა ცოცხლებს. აქ მაღალი ღვთიური სულიერებაა, რომელიც ჩვენგან განუსაზღვრელი მანძილითაა დაშორებული, ანდა პირიქით... ხოლო ცხოველურში დროებითი ყოფნა, მინასავით ტლანქი თვისების შენაძენი. მაშინ, აბა რაა დიდ ხელოვნებაში გაცხადებული სული, თუ არა მოდელი და ნათესაური ფორმა კოსმოსურ სივრცეში? უფრო მძლავრი და დინამიური სახე, სულის გარდა, ხომ არაა უმეტესად მაღალი სისტემა, რომელიც იტევს პიროვნულის ყოველგვარ თვისებას (ინდივიდი – ხასიათი, აზროვნება, გენი, განცდათა დამოკიდებულება, სიყვარული, მაღალი, ღვთიური ზეობით). ყოველივე ზემოჩამოთვლილი, მინდა დავიჯერო, რომ ემორჩილება სულზე უფრო მაღალს, რაც კოსმოსურში შემავალი უსახო და უხილავი ორგანოა, რომელიც სიკვდილის შემდგომ გადაეცემა და ვინ იცის, უახლოესი მზის სისტემის იქითა შორეულში როგორი ფორმირებაშიღებულა აბსტრაქციაა. შეიძლება დავეთანხმო დიდ ფილოსოფოსს, რომ ადამიანი სიკვდილის შემდგომ ქრება ატმოსფეროში?! არა, რადგან უკვალოდ თუ უსახოდ არაფერი ქრება ამქვეყნად, ყველაფერი ემორჩილება იმ დიადურს, რომელიც გარდაქმნების-გარდასახვების და განახლების ციკლს ექვემდებარება. სიკვდილის მერმინდელი მოვლენები უფრო ჩასანვდომია, ვიდრე დაბადებამდე და დაბადებით მოსვლა. მარტო სიციცხლის გაჩენის საკითხი კი არაა, არამედ უფრო ღრმა მოვლენასთან გვაქვას საქმე, რამეთუ უხილავ მოვლენათა უსასრულობაში გავდივართ. უთუოდ უდიდესი დრო და გონი სჭირდება ამ სასწაულში ჩანვდომას. მაგ დრომდე კი ადამიანი ჩვეულებრივ გააგრძელებს ტანჯვას. საიდუმლოებათა ფარდის ახდის შემთხვევაში შეიძლება ადამიანმა სიკვდილის მოსვლა არაფრად ჩააგდოს. ადამიანი ღვთიური არსებაა და უკვალოდ არ ჩაინთქმება სამყაროს უსასრულობაში...

დღევანდელი დღე, როგორც მოგახსენეთ, ავღრიანია და დილიდან კოკისპირულად წვიმდა. თბილად ჩავიცვი და ნელი ნაბიჯებით დავაბოტებდი პარიზის წვიმიან ქუჩებში. რამდენიმე სეზონური სახატავი მოტივიც ავირჩიე – უფრო ლუვერის ეზოში და მის სიახლოვეს. მერე სტუმრად ლუვერში გახლდით და სამუდამოდ დაბ-

მულ მშვენიერება–სილამაზეთა სახეებს გადავხედე, რომელთა უმეტესობა კოსმოსური სევდით არის განმსჭვალული. მხოლოდ სევდაა ყველგან, მზის ნათებაშიც. წარმოიდგინეთ, სინარულის და გალაღების დროსაც სევდის განწყობილება იმორჩილებს ყოველივეს.

ზემოთ აღწერილი უცნაური ფიქრები და აზრები ქანდაკება „ნიკეას“ გვერდით მჯდომს მომივიდა, ვინ იცის, განგებამ რომელი ათასწლეულის შემდგომ მეც მათქმევინა და ჩემს მერმე, დიდი ხნის შემდეგ, ახალი ცივილიზაციის ადამიანებს უფრო დამაჯერებლად ალაპარაკებს. ეს ხომ მარადიული თემაა კოსმოსურ სივრცეში...

3 ნოემბერი, 2002 წ., პარიზი, „სიტედეზარ“. ოხ, ამ ნოემბრის თვის დროე, როგორ მწარედ იკბინები. დღეს დილიდან ცვალებადი ამინდი დაიწყო. თემა ლუვერის ეზოში არჩეული მქონდა, ვადანთლებული ნაბლის ხეებით. ახლა საუკეთესო პერიოდია ჩემთვის, რათა ფერის პრობლემები დავძაბო და ტონალობა ავნიო. იმატა პარიზში ნარინჯის ფერებმა, ყვითლებმა და იქვე მუდმივი ვერცხლის და ცისფერების ცვლაა. ჩემდა სინანულად, არჩეული მოტივი ვერ დავიწყე, რადგან წვიმა და მზე არ ჩანდა. შემდეგ ლუვერის პატარა ტრიუმფალური თალის გვერდით დავდექი და ლუვერის მარცხენა ფრთის ხატვა დავიწყე, რათა, წვიმის შემთხვევაში, უცხად თაღში შემეფარებინა თავი. ასედაც მოხდა, სამჯერ მაინც მომიწია ჩემი ბარგ-ბარხანით – „ეტიუდნიკით“ და სურათით – თაღში თავის შეფარება, რაშიც ფრანგი გოგონები სიცილ-კისკისით მეხმარებოდნენ და ისე მარბენინებდნენ ყველაფერს. სადამოს, მრავალჯერადი წვიმის შემდგომ, მზემ გამოიხედა, თითქოს ზეცის საპურობილიდან გამოაღწიაო და ლუვერის სამხრეთი მხარე ძლიერ გაანათა – სასწაულებრივი სანახობა იყო. ფერთა მაღალი ჟღერაობა და მისი ორკესტრი ცამდე წვედობდა, სინარულით ახმაურდა გარემო და ლუვერის სასახლემ ზეციური სახე მიიღო. ოი, თქვენ, იმ ქვეყნად მყოფნი, განახათ ეს სილამაზე-მეთქი! ცა გადასერა ულამაზესმა ცისარტყელამ, რომელიც ლუვერის ერთ-ერთ ქიმზე მთავრდებოდა. გაკვირებული მივჩერებოდი. ათ წუთს გაგრძელდა ეს საოცარი სანახობა, ალისფერი მზე, ცეკვა-თამაშით, დასავლეთისაკენ მიექანებოდა...

ლიტერატურული ბკერდი

ცხრა აპრილის ეძო

ჩემო ვარსკვლავო,
ჯვარზე გაკრულო,
რა დაგვაინწყებს, რაც მოხდა გუშინ,
სინათლის დები ნიჩბით დაკლული
კენესიან ფიქრში, ტირიან ნგულში.

სიყვარულისთვის
რატომ ვისჯებით
ან ტანჯვისათვის რატომ ვარსებობთ,
ტანდაჩეხილო, კობტა ბიჭებო,
მზეჭაბუკებო, კეტიტ ნაცემო...

ვმღეროდით ერთად
ხელში სანთლებით
და ტაძარს ჰგავდა სივრცე ქალაქის,
სხვა სინათლეში იდგა ქართველი-
მამულისა და ღმერთის ზვარაკი.

მერე მოვიდნენ
სიკვდილის მხრიდან
რკინის შუბლებით, მღვრიე თვალებით
და დაიშალა კუნძული წმინდა
და ცის ცრემლებად იქცნენ ზარები.

დაბზარულია
ჩრდილი ღამეთა,
სუსხიანია შუქი დღეების...
ვლოცულობ, მუხლის ღონე წამერთვა,
ჭრილობიანი მტკივა მზეები.

მწარეა ძილი.
სიზმრად განახულობთ,
ახდეს, რაც თქვენმა ფიქრმა ინებოს,
ანგელოზებო, ნიჩბით დაკლული,
კობტა ბიჭებო-უფლის შვილებო!

ერთხელ შენც განახე სიკვდილო
ჩაგძინებოდა მთაზედა
ვიფიქრე გავუსწორდები
ხელიც გავიკარ ხმაღზედა
მაგრამ ვერ გადმოგიქნიე
მზე დაგფენოდა ტანზედა.

დავიხარე და გაკოცე
ნამოკიდებულ თმაზედა.

ტრაგედიის ეძო

პატარა ქვეყნის დიდი დარდი
ალარ გაძინებს,
ერთურთის ტანჯულ სახეებზე
ვხედავთ სამძიმრებს.

პატარა ქვეყნის დიდი დარდი
გაძინებს ალარ,
ყველგან ტკივილის ნათებაა-
დაბლა თუ მაღლა.

ალარ გაძინებს დიდი დარდი
პატარა ქვეყნის,
ციდან დაგხედავს წინაპარი
და მშვიდად გეტყვის:

„უფსკრულს ვერ ამჩნევ,
ცოტა დარჩა დრო და მანძილი.
დღესაც გაბრუებს
მარილი და თაფლი მაცილის.“

არ უნდა გჯობდეს ჩრდილის ჩრდილი
და ლანდის ლანდი,
ღმერთს დაუბრუნდი
და გახდები მძლეველი დარდის.“

ფერმკრთალი სივრცის ჭრილობები
სტკივით არწივებს...
პატარა ქვეყნის დიდი დარდი
ალარ გაძინებს!

დედა-სამშობლო!
მის სიყვარულს,
დიდს და სევდიანს,
ვერ შეეღვი,
როგორც სითბოს
ზეცის ნათლისას.
დედის მანძილი
და სამშობლოს
დროშა ერთია!
ორივე წმინდა ნაწილია
ღმერთის კალთისა!

ი ა ლ - კ ი ა ლ ი

სამაია ალვების,
მუშაითი ხვიარა.
სხივები და ღარები,
ერთნაირად კრიალა.

მოლივლივე ზოლები,
ზვინები და ურმები.
გარინდება გონების
და გალობა გულების.

სიმწვანეში ქალ-ვაჟი
/ცხადია თუ ზღაპარი?/
და შრიალი ყანაში,
როგორც ლოცვა ცამყარის.

ექოები, ქორები
და ქარაფი ამაყი.
ქანაობა მორევის,
გაელვება კალმახის.


წყარო, იქვე მენყერი,
ბებერ კოშკთან ლეგენდა.
ქორწინება მერცხლების
ჭერქვეშ, დედა კედელთან.

განყვეტილი ქამანდი
და კაფია ცელების.
საოცრება მარადი -
სიყვარულის ხელები.

ცეცხლზე გავლა ჩრდილისა,
მწვერვლების ხარება
და ფერების თილისმა
ანთებული პნკარებად.

არწივების ყაშყაში,
კვალი ძველი ავდრების.
მოკვდავების ტაძარში
უკვდავების სანთლები.

მზე-წყურვილის მიზეზი,
მონატრება დღეგრძელი
და ზესკენელის სივრცეში
საიდუმლო ქვესკნელის.



ვაჟა ხორნაული

ქარში სითბო ბედისა,
დარდი იის თვალებით.
ნაჩვენები ღმერთისგან
სხვა სამყაროს კარები.

ოქრო და ქვიშა მარადისობის
/ვერ გამოლიეს სითბო ბინდებმა/.
ვინც გენატრება, განა ის მოდის,
ვისაც არ ელი, ის მოფრინდება.

ნაყანევი და ნაპირმზითალი,
დავინყებული გზა და ცელები.
ნაქცეულ ვაზთან ლანდი წმინდანის,
ჭალარა ხავსი სანახელების.

დამსკდარ კედელზე მწვანე რტოები,
სხვა წყაროები და სხვა წრეები.
ლოცვა-ვედრება სამრეკლოების,
სევდა ჩამქრალი სამარეების.

მწვერვალთა მიღმა ცისკრის გალობა,
ჰორიზონტებთან ცის მოდიდება...
მხსნელი ვინცაა, ის კი არ მოვა,
ვინც შეგინირავს, ის მოფრინდება.

კაცი-სანთელი, კაცი-მახვილი

მერაბ კოსტავას

სევდიანია მამულის მზერა,
ცრემლიანი ხმით შრიალებს ყანა
და კვლავ ვიგონებ კოსტავას მერაბს,
ვით ღმერთისაგან მოვლენილ ზვარაკს.

კაცი-სანთელი, კაცი-მახვილი,
ტანჯულისაკენ განვდილი ხელი,
მარადიული ომით დაღლილი,
სიტყვით მკურნალი და სიტყვით მკვლელი.

არწივის გულით, ბავშვის ღიმილით
ჩვენთვის ეკლიან ქარებში მდგარი:
კაცი-სიმღერა, კაცი-ტკივილი,
მეხდაცემული ტაძრების ფარი.

სულ სხვა განევა, სულ სხვა გმირობა.
საქმით-ათასი და რწმენით ერთი.
კაცი-ქცეული ფიქრის ჭრილობად -
იმ ქვეყანაშიც ლოცულობს ჩვენთვის.

სივრცეებს სტკივა მამულის მზერა,
წინაპრის სევდით შრიალებს ყანა
და კვლავ ვიგონებ კოსტავას მერაბს,
ვით ღმერთისაგან მოვლენილ ზვარაკს.

ლიტერატურული ბჰერდი

უბრალო ქობი, ღმერთის მოწნული -
ესაა ჩემი კოშკი, ტაძარიც.
აქ ვიტანჯები და აქ ვლოცულობ,
აქ მიკიდია ლექსის ხანძარი.

აქ ყვავილობენ ჩემი დღეები
და სიყვარული-ხატი დღეგრძელი.
ლექსი-ესაა ოქრო მზეების
და მელოდია ზესკნელ-ქვესკნელის.

ლექსი-ესაა სივრცის წყურვილი,
ჰორიზონტების ხილვა და განცდა,
აუმღვრეველი ხმით და დუმილით
მიახლოება მეშვიდე ცასთან.

ლექსი-ესაა გულში მახვილი,
მაცოცხლებელი, წმინდა ფხიანი,
ფიქრის ნექტარი, კალმით დაღვრილი,
და უკვდავების წყაროს წკრიალი.

ხან სევდიანი, ჯვალის ფერივით,
ხან მხიარული დილის სხივივით,
ღმერთის კალთიდან ამოფრენილი
ბელურას ხმა და ორბის ყივილი.

ცეცხლში დგომა და ქარში ტორტმანი,
ნაუქცეველი რკინის კლდესავით,
ჯოჯოხეთიდან სანთლის მომტანი
და უდაბნოში იის მთესავი.

სიტყვა, ქცეული სამოთხის ფრთოსნად,
ვარსკვლავის ფეთქვა, ნათება ფესვის.
ამ ქვეყანაზე მეორედ მოსვლა -
ესაა ლექსი!...

სიცოცხლეს გაგილამაზებს
ქალი სულ მოლოდინშია
სულ სიყვარული სწყურია
ღმერთის ხმებით და დუმილით
გაბრწყინებული გულია.

ნამივით აუმღვრეველი
სალამურივით უბრალო
ვინც ხატად უწამებია
ენიერება და უგალობს.

სიცოცხლეს გაგილამაზებს
როგორც აისი ყანასა
შენთვის არ დაერიდება
არც ხანძარს არცა დანასა.

ზეციერისგან ნაკურთხი
ღვინო თაფლი და პურია
უსიყვარულო დღეები
მისთვის ბნელი და კრულია.

ქალი სულ მოლოდინშია
სულ სიყვარული სწყურია.

მარჯხ ბაჲიშვილი

ქრისტე აღსდგა!

ამ ლექსს ვწერ უდიდესი კრძალვითა და რიდით, - ჩემი სულიერი მოძღვრის კურთხევით.
„- ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნისო, დიდება მოთმინებასა შენსა - უფალო იესო!“

ზესასწაულებს ახდენდი ირგვლივ,
მკვდარი დგებოდა ღვთისნიერ ხმაზე,
მაგრამ... გაგყიდეს ოცდაათ ვერცხლად...
ეკლის გვირგვინი დაგადგეს თავზე...
ცოდვის შვილებმა ბარაბას ნაცვლად,
სასიკვდილოდ შენ, - იესო გიცნეს...
უნდობლად, ურცხვად და უმოწყალოდ,
სახეში უღვთოდ შოლტები გირტყეს...
ითხოვდნენ დასჯას თავგამოდებით,
თუმც გუშინ ბზის რტოს გიფენდნენ გზაზე,
ზურგს მოკიდებულ მაგ მძიმე ჯვარით,
მიგაცილებდნენ გოლგოთას მთაზე...
დაფლეთილ ტანზე გეკიდა ცეცხლი,
სისხლის კურცხლები სცვიოდათ თვალებს...
განანამები სულის ამოხდას,
უხმოდ შესთხოვდი ზეციურ ძალებს...
სიკეთის მთესველ დაუღლელ ხელებს,
გლეჯდნენ ლურსმენები სიძველის ჟანგით,
წყურვილისაგან დახეთქილ ტუჩებს,
გულქვად გილობობდნენ ძმრიანი ბამბით...
ნათელი სახე ტკივილისაგან,
დაღარა სიმწრის ცრემლების ნამმა,
საშველი მაინც აღარსად სჩანდა,
სდუმდა ზეცაში, - ღმერთი და მამა...

„რად მიმატოვე“, - იყო ბოლო თქმა...
დახარე თავი, აღმოხდა სული...
აღარ გაკმარეს, გინგგრიეს ფერდი,
და ჯოჯოხეთი მოგაგეს სრული...
თუმც ეს არ იყო წილყრა სიკვდილთან,
მას ჯოჯოხეთის განუხვენ კარი,
გამოიხსენი წამებულთ სული,
და გარდასახე მაცხოვრის ჯვარი.
არ აზეიმე ძალა ბოროტი,
მხოლოდ სამი დღე დაგერქვა მკვდარი,
მალალმა ღმერთმა გაფრქვია მაღლი,
გაფანტა ირგვლივ გლოვა და ზარი.
რა მოკლე იყო სიკვდილის როკვა,
რა უაზრობა - ჯდომა ნადიმად,
უსატიკესად დამარცხდა იგი,
- იესო აღდგა, აღდგა ნამდვილად!
სასუფეველში ეახლა მამას,
განუშორებლივ გვერდით რომ ახლდა,
მის წინ მუხლებზე დავდგეთ ყოველნი,
ის სამუდამოდ-მკვდრეთიდან აღსდგა!
მალალი ღმერთის ძე საყვარელი,
წუთისოფლისთვის მზრუნველნი ანდა,
მამამ ინება, და ჭეშმარიტად,
უფალი აღსდგა, უფალი აღსდგა!

გილოცავთ...

ტანჯულ მამულზე ფიქრით და დარდით,
ერთი დღეც აღარ ყოფილხარ მშვიდად.
„მამული, ენა, სარწმუნოება“,
უნდათ ჩანისლონ, - ბატონო ზვიად.
განგამის ზარებს რეკენ შორიდან,
გასხვისებული ზარზმა და ოშკი,
განრისხებული კლდეში შეჭრილა,
ძაძით მოსილი კოლხური კოშკი.
სიტყვის დიდოსტატ მამის საფლავთან,
ვარამით სავსე მიგქონდა გული,
შემოგკიოდა გამწარებული,
ივერთა ქვეყნის დაჭრილი სული.
და აუჯანყდი მონსტრს უშიშარი,
ურჩხულს ებრძოდი შიშველი ხელით,
რომ სალოცავი შენი მამული,
არ ყოფილიყო მოცული ბნელით.
ძმა - შენაფიცთან, - დაუღლელ ბრძოლით,
გამოაფხიზლე მძინარი ერი,
ეკლიან გზაზე უძლოდი დიდხანს,
დროშა გიძლოდა შვინდისა ფერი.
წმინდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ
მხარეს ლოცავდა მაღლით უფალი,
ილიას სულმა ჰპოვა სიმშვიდე,
დაერქვა მამულს - თავისუფალი.

სულს კვლავ მოსწყურდა მოსალოცად, -
წმინდა ტაძარი,
გულში მინთია ფორიაქის,
მწველი ხანძარი.
მარტოსული ვარ უბედობის
ჩამონათალი,
ამორძალების შორეული,
ჩამომავალი.
მუხლებს მოვიყრი სალოცავად, -
აგერ ტაძარი,
მალალ ღმერთების სიყვარულის
გულს სწვავს ხანძარი.

არ ისვენებდნენ მხოლოდ ბოროტნი,
ცოფიან ძალთა გაისმა ყეფვა,
აღარ დაინდეს დედა-სამშობლო,
შურმა და ბოლმამ წაართვათ ხედვა.
და გაგიმეტეს მუხანათურად...
ნატყვიარ შუბლზე დაგდინდა სისხლი...
ისევ იუდა... ისევ ბარაბა...
იმარჯვა ეშმამ... განწყვიტა სიმი...
ერთი კაენი რას დაგაკლებდა,
კაც-ჭამიათა გეხვია ხროვა...
მაგრამ განკითხვას ვინ გაქცევია,
სასწორით ხელში თემიდა მოვა.
სასუფეველიდან კვლავ მამულს მწყემსავ,
დამწუხრებული დაჰყურებ მიწას,
აღშენებული დიდი დავითის,
ივერთ ქვეყანა „ყვავ-ყორნებს მიაქვს“.:
შენ ყოფილიყავ, ვინ შებედავდა,
მინის ყოველ გოჯს კალთით ფარავდი,
გესროლეს... მაგრამ მაინც ვერ მოგკლეს,
და პრეზიდენტი დარჩი მარადი...
ჩვენ კი რა გვეთქმის, ვართ შერცხვენნილი...
ცოდვები გვანვეს... მძიმენი ფრიად...
ოცდათერთმეტ მარტს მაინც - ჟამიერ,
დაბადების დღეს გილოცავთ - ზვიად...

ვარსკვლავთ ციმციმი სიბნელეს აკრთობს,
საოცრებას მიმოფანტავს ცაზე,
თვალეებს ხუჭავს ღამე ნანამები,
მოფარფატე ანგელოზის ფრთაზე.
ხვალ კი ისევ დღე განყდება წელში,
გაბრძოლების იქნებ დროა ბოლო,
დაღლილები მივენდობით უფალს,
„სულთათანას“ მოგვაგებებს ქორო.
სიკვდილი კვლავ დაუყვება ბილიკს,
გზად სიცოცხლეს ბასრი ცელით ცელავს,
და მანტიით შემოსილი შავად,
დაუნდობლად მოგვადგება ყველას.

დასაწყისი გვ. 7

გამორჩეულია სომეხმა ისტორიკოსმა გ. ადონცმა. ის წერდა „არის ასეთი ფასიანი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იუსტიციის ერთ-ერთმა ახლო შიამოპაეალმა გაუგზავნა ირანის მმართველს სომეხთის ნახარხარების და სომეხების არმიის მისამართით ბრალდების წერილი. იმპერატორი წერდა, რომ სომეხები მეტად არასაიმედონი და არასანდონი არიან, ისინი ჩვენს შორის ცხოვრობენ და ხლართავენ ინტრიგებს. მოდი თუ შეთანხმდით, მე შევკრებ ჩემს სომეხებს (ესე იგი სომეხებს ბიზანტიის ტერიტორიაზე მცხოვრებთ) და გაგზავნი მათს თრაკიაში, თქვენ კი შეკრებით თქვენები (ესე იგი სომეხები, რომლებიც სასანიდების სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ) და გაგზავნით ისინი აღმოსავლეთით, თუ ისინი იქ დაიღუპებიან, ნიშნავს - დაიღუპებიან მტრები, თუ მოკლავენ, მოკლავენ ჩვენს მტრებს და ჩვენ ვიცხოვრებთ მშვიდობიანად და უღრტყინველად“. Адонц Н.Армения в эпоху Юстиана. М.1968, с 206-207.

პაკების დიდ პოეტს ევგენი ჩარენცის ეკუთვნის ასეთი ფრაზა: „ჩვენში პირველად ჯერ კიდევ დედის მუცელში ჩნდება“

ქართული ხალხის დიდმა მოყვარულმა და მისი ფასის კარგმა მცნობამ ოვანეს თუმანიანი საუკუნის დასაწყისში თავის ერთ-ერთ დიად ნაწარმოებში დაუხვია: „ვემართებ განკურნება უნდა დაიწყო შეგინდან, იმიტომ რომ ჩვენ შინაგანად ვართ დაკავებული“. ჩვენ უბედური ტომი არასდროს არ იყო პოლიტიკურად დამოუკიდებელი“. ოვანეს თუმანიანი, „რჩეული პროზა“ გვ. 201, ერევანი, 1977.

ერთ-ერთი სომეხი მეცნიერის დასკვნები მოტანილი აქვს თავის წიგნში სტეფანე შაჰიანიანს: „XX საუკუნის დასაწყისში სომეხი მწერალი ვ. ფაფაზიანი სომეხების განვითარების ცნობების მოცემისას წერს: „სომეხი ხალხი იყო სრულიად უცხო, გაუნათლებელი, ველური და უპირველეს ყოვლისა შეუგნებელი. ადამიანები ძირითადად დაკავებულნი იყვნენ დარბევებითა და ფაჩალობებით... ისინი მსგავსად ჩრდილოელი ველურებისა ცხოვრობდნენ ნადირობით“. Степан Шахьян . Избранные произведения . Том 1, с.390.

დღევანდელ სომეხთა უმრავლესობა მოდებული არის რა მიუღწეველია, ექვევან ვალბ თვითრეკლამას და თავიანთ თავს ასაღებენ დანარჩენი კაცობრიობის განმანათლებლებლად და ქრისტეს სჯულის კანონს ქრისტიანობის მატარებლად, სინამდვილეში კი მათთვის მეტად საჩივრო რამეებთან გვაქვს საქმე. სომეხთა ქრისტიანობას ასე წარმოაჩენს მთელი რიგი სომეხი მეცნიერებისა:

„სომეხი ეკლესია, შეიარაღდა რა ქრისტიანული დროში, ყოველ დროს ანადგურებდა ისტორიული აღმართისა და მისი განუყოფელი ნაწილის ყარაბაღის (არცახის) ხალხებს და იცოდა შეგუება ისტორიული სიტუაციას, სამსახურს უწყველად სეფევიდებს, შემდეგ რუსეთის იმპერიას, ზუსტად ისე, როცა თავის დროზე ემსახურებოდა ბიზანტიას, ირანულ სასანიდებს, არაბ ხალხებს და მონღოლებს“. ნ. ს. ვარაპეტკოვი, „ამიერკავკასიის ქრისტიანული ძეგლები“

თანამედროვე სომეხი მეცნიერი ა. პერიხანიანი, დასტურებს რა ამ აზრს, წერს, რომ „იმ დროისათვის სატაძრო პროსტიტუცია წარმოადგენდა რიტუალურ ადათს, რომელშიც მონაწილეობდა საზოგადოების ყველა ფენა, დაწვეული არისტოკრატიიდან დამთავრებული მონებით. Периханиян А.Г.Храмовые объединения Малой Азии и Армении.М.,1959,с.129.

მეორე სომეხი მეცნიერი ქაფანციანი აღნიშნავდა სომეხი მეფეების ძველი დროის სხვა ნიშნ-თვისებასაც, რომელიც უტოვლდებოდა პროსტიტუციას. ის წერდა „პაიასების მეფე დივლი დაზე დაქორწინდა“ Капанцян Г.Хайаса.,с119.

სომეხი მეცნიერი ზაჩატურიანიც აღნიშნავს მოცემული ტრადიციის ბატონობას სომეხ მეფეთა შორის, ჯერ კიდევ ქრისტიანული ჟამთააღმწერლობის დასაწყისში. Хачатрян А. История Армении в клинописный период.Эреван,1933,с.49.

ქაფანციანიც აღასტურებს, რომ ანაიტის ეკლესიაში „მომსახურებას უწყვედნენ საეკლესიო პროსტიტუტკა-ხიეროვლები“ Капанцян Г. Хайаса, с.86.

გარდასულ დროთა ქრონიკებში კი ვაწყდებით ასეთ შემზარავ ფაქტებსაც:

„ამ დროისათვის სომეხებს შორის იყო კანიალიზმის შემთხვევებიც. სომეხი წყაროების ცნობების მიხედვით, სომეხები ჰყიდდნენ თავიანთი თანამემამულეების ხორცსაც. მაგალითად 326-408 გრამი ადამიანის ხორცი იყიდებოდა 100 დეკანად. სომეხები ადამიანის ხორცს დაკონსერვებული სახითაც ჰყიდდნენ“. Армянские источники о монг.... с.27.

მე-5-ე საუკუნის სომეხი ისტორიკოსის ფავსტა ბოზუღიანის სიტყვებით, „სომეხებმა მხოლოდ გარკვეულად მიიღეს სახელწოდება „ქრისტიანი“, ასე რომ კერპთაყვანისმცემლობა კიდევ უფრო აგრძელებს გამოვლინებას საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში“. Налбандян

В.С.Армянская литература .М.,1976,с.18.

„ხალიფმა აბდულ მელიქმა, გააუქმა რა ალბანეთის ეკლესია, დაუქვემდებარა ალბანელი ქრისტიანები სომეხ ეკლესიას და სომეხთის საკათალიკოსოს, ამ დროიდან დაიწყო სომეხური ეკლესიის მიერ ძველალბანური კულტურის სისტემატიზირებული განადგურების პროცესი“ - ამას აღასტურებს სომეხი ავტორი ტერ-გრიგორიანი. ის წერდა „მოსე კაკავანცის ნაწარმოებმა (ალბანელი ისტორიკოსის) ჩვენამდის ვერ მოაღწია სრულყოფილი სახით. სომეხმა ბერებმა, რომლებიც აწარმოებდნენ მოცემული ნაშრომის თარგმანს სომეხურ ენაზე, სომეხი კათალიკოსების ბრძანებით დაუშვეს უამრავი გაყალბება“. Тер-Григорян. Борьба Аршаха с арабскими захватчиками в IX веке. Б, 1942, с 42.

მოსე ხორენელი წერდა, რომ სომეხურმა ეკლესიამ არაბთა ხალიფატის დახმარებით 704 წელს ალბანური ეკლესიის თავის ქვეშ დაქვემდებარებისას სრულიად განადგურა რაც ალბანურ ენაზე იყო დაწერილი ალბანეთის ისტორიის შესახებ. Моисей Хоренский. История Агвании. Кн 1, гл.12.

საინტერესოდ გვიხსნათ სომეხურ ხასიათს არმენი ლეონ მელი-შახნაზარაიანი თავის ნაშრომში „სომეხი ხალხის ხასიათი“:

„სომეხი ხასიათი მიეწევა ყოფნის საკუთარი სტიქიის გაშუქებას, მისთვის მიუღებელია ნაკლებად ცნობადობა. სომეხი „სარკის წინ ცხოვრობს“, გამუდმებით შესქერის საკუთარ თავს ყოველი მხრიდან: როგორ გამოვიყურებ, გავაკეთე კი ვეღვაფერი სწორად და როგორ მიიღებს ამას სამყარო?“

„პრიმიტიული და პროვინციული სომეხურ ნაციონალიზმს ხშირად შესწევს უნარი გადაზარდოს ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენლებთან კომპლიმენტარული თანაცხოვრების, რაც არსებითად აერთიანებს ხალხს, შესაძლებლობის სრულ უარყოფაში. ამ შემთხვევაში სომეხური ნაციონალიზმი ადვილად გარდაიქმნება ნაციონალურ ამპარტაუნობაში, სხვა ერის წარმომადგენლებს შორის რაიმე ღირსების არსებობის უარყოფად: პრესტიჟის საკითხად ხშირად ხდება სომეხური ძირების ტენა სხვა ხალხების გამოჩინებლად მოღვაწეობაში.“

სომეხი ამ ფართოდ გაერკვლებულ დაავადებაში არ იცან შექერება, „პოულიბონ“ რა სომეხებს ყველა ხალხთა გენებს შორის. ამგვარი ძიებები ხანდისხან ყალიბდება ფართოდ რეკლამირებულ (და უნდა ითქვას ხალხის წიაღში მეტად პოპულარულ) „სამეცნიერო“ შრომებში, რომელთა უმთავრესი მიზანია, ყოველი ხედავთ „დაამტკიცონ“ სომეხი ხალხის ეს განუყოფლობა“.

ნათქვამია, „მუხჯის ენა დღემდე იცის“, ვერაფერს შეუძლებს პატიოსან სომეხ მეცნიერს! ინტერესიკლებული არ იქნება ისიც თუ გავკვირდებით უცხოელი მოღვაწეების გამოჩინებებს სომეხი ხალხის ისტორიაში და სომეხური ენის შესახებ, რომლებიც ნაილად წარმოაჩენენ ხასხს ამ ხალხისას:

ტაციტუსი წერდა, რომ „სომეხები მათი ორპირი ქმედებით იწვევდნენ ხან ერთი, ხან მეორე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს მათ მიწებზე, ხასიათის სირთულით ისინი ჰკვანან პარიეტებს, აღირიენენ მათში ქორწინებებით, თავისუფლება მათთვის უცხოა, ისინი მეტადვე მიდრეკილნი არიან მონობისკენ“ Тацит Корнелий.Сочинения.т.2,СПб,1887,с.395-396.

„სომეხი, როგორც სახელმწიფო, არ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს კაცობრიობის ისტორიაში, მისი სახელწოდება იყო გეოგრაფიული ტერმინი, გაერკვლებული სომეხების მიერ, ის იყო ასურელების, მიდელეების ირანელების, ბერძენების, მონღოლების, რუსების... - დავათა განთავსების არენა“ (პ. კერო პატკანოვი. ვანის წარწერები და მათი მნიშვნელობა წინა აზიის ისტორიისათვის . СПб.1981, стр. 36-37. მაგად ნეიმანის წიგნიდან „არამენია“ СПб, 1899.)

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვსაუბრობთ სომეხური სახელმძღვანელოების შესახებ, რომლებმაც თავიანთ თავზე აიღეს ყველა მათი მუხობის „გაკულტურების“ ყოვლისმომცველი მისია. სახელმძღვანელოებში, რომლებმაც წერია ამ ვაი სახელმწიფოს - „დიდი სომეხთის“ შესახებ. საეკლესიო სკოლებში დიდი სომეხთის რუკებიც კი ვრცელდება, რომლის დედაქალაქს წარმოადგენს თბილისი და რომლის საზღვრები ვორონეჟამდისაც კი აღწევს“

ს. პ.მელიქიანი: „სომხური მუსიკა არაა თვითმყოფადი, არამედ არის კომპოზიციური - მხოლოდ მუსიკალური ენობრივად“ (С.Меликян, „Ширакских песен“, два выпуска „Ванских песен“).

ამ აზრს ადასტურებენ უცხოელი სპეციალისტებიც. გავყვებით რამდენიმე მათგანს:
აუგუსტ ვონ პაკსტაუზენი: „სომხები თავიანთი სიმღერების ქმნიან და მღერავენ არა სომხურზე, არამედ სასაუბრო თათრულზე (აზერბაიჯანულზე), რამდენადაც სწორედ ეს ენა წარმოადგენს საუბროთერო, საუკვერთ და ურთიერთგაგების ენას სამხერთ კავკასიის ხალხებისათვის... შესაძლოა, სწორედ ეს - ერთ-ერთი მიზეზია, რომელიც სომხურ ენაში ლექსების სუსტი გავრცელებისა, ყველაზე ცნობილი სომხები პოეტები თავიანთი ნაწარმოებებს ფართოდ გავრცელებისათვის ყოველთვის თათრულად წერდნენ“.

ო. პროხოროვი და გ. სკუდინა: ხანატურის ბავშვობისა და სიყმაწვილის წლებში დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა სახალხო აშუღი-მომღერელების შემოქმედებამ, რომელიც მუსიკისა და სომხეთის სიმღერებისა, საქართველოსა და სომხეთის სიმღერების...“ (Учебник „Советская музыкальная культура“ И.Прохорова и Г.Скудиной, М., „Музыка“, 1987).

ა. კოროშენკო, ცნობილი სპეციალისტი: „...სომხებს არ გააჩნიათ თავიანთი ხალხური მუსიკა“ (А.Корещенко, „Наблюдения над восточной музыкой, преимущественно кавказской“, Московские ведомости, 1896).

„მიმანია, რომ თუ კი სომხებს ეროვნული სიმღერები ჰქონდათ, მოსახლეობამ ის დაივიწყა, თუკი მღეროდნენ, მაშინაც ძირითადად თათრულ ენაზე (აზერი - ეივაზი) ან ფარსულად. საკვირველია, რომ ის სომხები, რომლებმაც თათრებისაგან გადმოიღეს მუსიკა და სიმღერები, შეადგენენ სომხები მუსიკოსების 8/9 ნაწილს... ქონდათ კი სომხებს ეროვნული ცეკვები? მათ დაკარგეს საკუთარი ეროვნული მუსიკა. ყველა დღევანდელი ცეკვა ამ ხალხისა ადგილობრივი თათრებისა და მთიელებისაგან. სომხების მიერ გადაღებული ბოლო ცეკვა ეს „ლუკური“... თათრების ცეკვები ძლიერ ლამაზია და თვით ხალხი ჰქმნის მისი ორიგინალურობის პირობებს“.

რუსი ისტორიკოსი ი. შოშენი „Исторический памятник состоянии армянской области в эпоху ее присоединения к Российской империи“
„ცნობილია გერმანელმა მოგზაურმა ბოდენშტედტმა, თბილისში გავიდა მოგზაობა, გამოხატა ინტერესი ადგილობრივი მოსახლეობის ფოლკლორის შესახებ, უპირველეს ყოვლისა კი აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ხალხებისა. როდესაც მან ქალაქი დასტოვა და სამშობლოში გაემგზავრა, მის პორტფელში არ აღმოჩნდა არცერთი ნიმუში სომხური ხალხური შემოქმედებისა. ამ ვითარებამ ძლიერ განაწყვეა ყველა სომეხი მეცნიერი, პოეტ და მწერალი ხ. აბოვიანის მეთაურობით, რომლებიც იმ დროისათვის თბილისში ცხოვრობდნენ. ხ. აბოვიანმა გამოიჩინა რა გონებადამხილებლობა და ჰპოვა გამოსავალი ამ უძიებლ მდგომარეობიდან. ბოდენშტედტის გამგზავრების შემდეგ ის დაუყოვნებლივ შეუდგა სამუშაოს და მიერ დროში გადათარგმნა აზერბაიჯანული დასტანი „კერეში და ასლი“ (ამ თხზულების მხოლოდ პროზაული ნაწილი, ლექსებს ის ვერ გაუშვალა). მან ეს თარგმანი გადასცა სხვა გერმანელ მოგზაურს ავგუსტ ფონ პაკსტაუზენს, რათა თარგმანი გერმანიაში წაეღო, რომელიც მოგვიანებით გამოცემა როგორც სომხური დასტანი“. И.Садый, „Об армянском варианте азербайджанского эпоса „Кер-оглы““.

მიუხედავად იმისა, რომ სომხური მუსიკალური ფოლკლორი არ ხასიათდება მრავალხმიანობით, ევროპაში გამოცემა მუსიკალური დისკები ცნობილი ქართული აკადემიური ფოლკლორული ჯგუფებისა, რომლებიც გასაღებულა სომხურად. სომხები ევროპაში ქართულ სამხარეულსაც გადასწავლენ, მითითეს და თავიანთად გაასაღეს ჩურჩხულა, ხაჭაპური, ცნობილი ქართული ღვინოები და ეს ხდება დღისით-მისიით.

ყველასათვის ცნობილია ის თუ როგორ ითვისებენ ჩვენი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს. მთელი მსოფლიოს მასშტაბით აწარმოებენ ცრუ პროპაგანდას ქართული კულტურისა და ხელოვნების განსაზღვრულად. ერთ-ერთ ასეთ ფაქტს გამოეხმაურა გერმანიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე. ქართველი ებრაელი ბატონი მოსე ბოროდა. ავალბებენ, რა საქართველოს ქრისტეს ჯგუფულ მოქცევის ისტორიასაც, ბატონი ბოროდა ასე მიმართავს ვალბისქმენებს:“

...სომეხი სასულიერო მამები, რომ აღარაფერი ვთქვათ პროფან მოძღვრებზე, არც ქართველი და არც სხვა ზემოდასახლებული ავტორების მიერ არ არიან ნახსენები. მათი ხსენება არც გვიანდელი ეპოქების სერობრივი ისტორიკოსების ნაშრომებშია. ქართველებს არ სჭირდებოდათ „ლექსები წმინდა ნინოზე“ მათი „ნამდვილი“ მომქცეველების - სომეხი მოძღვრების - მესხიერებიდან ამოშლის მიზნით. ეს ამოცანა, უბრალოდ, არ არსებობდა. ეს

არ არის სიამაყის საკითხი, არამედ ის მარტვი ფაქტია, რომ საქართველოს სახელმწიფოს უძველესმა ისტორიამ, მისი ხალხის სულიერმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა აქ ქრისტიანობის უადრეს ხანაშივე გავრცელება. ერისთვის უადრესად ახლობელი აღმოჩნდა ქრისტიანობის ძირითადი პრინციპი „გიჟვარდეს შენი მოყვასი...“ და ამან ორგანული ნიდადაც მოუშვადა ახალი სწავლების განმტკიცებას საქართველოში. ეს სულიერება, რომელიც უდიდეს ალტაიტებს იწვევდა საუკუნეების მანძილზე, და უახლეს ხანაშივე საფუძველს უქმნიდა სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა და კონფესიის ადამიანების უმაგალითოდ მშვიდობიან და კეთილგანწყობილ მხარდაჭერა ცხოვრებას, ეს „უცხო მოყვასად აღიარება“, ეს რელიგიურობა, გამოვლენილი არა იმდენად რიტუალის დაცვაში, რამდენადაც ქრისტიანული პრინციპებით ყოველდღიურ ცხოვრებაში, გამოვლენა მე თვითონ, როგორც ებრაელმა, ჩემი საქართველოში ცხოვრების მანძილზე. ასე იყო საქართველო ქრისტემდე, და ასე აუკავდა ქრისტეს სწავლება ამ ნაყოფიერ ნიდადაზე“.

ქართველი ხალხის შტეირეული აწმყოთი გულანტკენმა ქართველმა ებრაელმა მეცნიერმა მოკრძალებული, ქართველი ხალხის სიყვარულით გაბთბარი წერილი მისწერა საქართველოს კათალიკოს პატრიარქს. საჭიროდ ჩაეთვალა სრულად მოვეყვანოთ წერილი: „11.01.2003

სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.
მის უწმიდესობა ილია II-ს მეფე ერეკლე 2, თბილისი, საქართველო და სწორად

თქვენი უწმიდესობაზე, თავს უფლებას ვაძლევ, მოგმართოთ ღია წერილით, რომელიც შეეხება ქართული ეკლესიისთვის მნიშვნელოვან საკითხს.

ამ რამდენიმე ხნის წინ გერმანულმა ტელეარხმა 3SAT-მა გადმოსცა მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მიძღვნილი მცხეთის ეკლესია-მონასტრებისა და საქართველოს გაქრისტიანების საკითხისადმი. ამის შესახებ ფილმის ფინალში ნათქვამია შემდეგი:
ქართული ეკლესიის ისტორია არაერთი ეკვს არ იწვევს: საქართველოს გაქრისტიანება მოხდა სომეხი პროფანი მღვდლების მიერ, მაგრამ ამავე ქართველებს არ შეეძლოთ ამის დაშვება მაშინ, როცა მათ მეზობლებთან უთანხმოება ჰქონდათ. მათ ამჯობინეს ქალის მიერ ყოფილიყენენ მოქცეულნი, და ასე, ლეგენდები ნინოს შესახებ სწორადაც მოიხდინეს.

ამ მტკიცებაში, რომელიც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს საესებით უწინადადმდეგება, მიბიძგა, პროტესტი განმტკიცდებოდა ფილმის ავტორებისათვის (იხ. დანართი).

ამასთან დაკავშირებით თავს მოვალედ მივიჩნევ, ღია წერილით მოგმართოთ თქვენ, როგორც ქართული ეკლესიის მეთაური, რადაცაა:

- 1) ზემოთ მოყვანილი ციტატაში არ მარტო ფაქტების ყალბი წარმოდგენა, არამედ ეჭვქვეშ აყენებს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს და ბღალავს ქართულ ეკლესიას, როგორც ქართველი ერის გამართიანებელი ძალა.
- 2) არ შეიძლება იმ საფრთხის უგულებელყოფა, რომელსაც ქმნის ზემოთმოყვანილი ამ მსგავს სიყალბეთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელება. განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, რომელნიც შესაძლოა პირველად იქმნიან წარმოდგენას საქართველოს შესახებ, ეცნობიან ქვეყანას, რომელიც არა მხოლოდ დღეს დგას პრობლემების წინაშე, არამედ წარსულშიც მოკლებული იყო კულტურულ დამოუკიდებლობას და „სწორ გზას“ თითქოს მხოლოდ მეზობელთა წყალობით დაადაგა.
- 3) სარწმუნოების საკითხი ხალხის ყველაზე უშუალო გრძობებს შეეხება, მით უმეტეს, ქართველი ხალხისა, მისი 3 ათას წლიანი სახელმწიფოებრიობისა და მსოფლიოთი ერთობი უძველესი ეკლესიის ისტორიით. ამ მიმართებით ყოველი დაუსჯელი ან უპასუხო მცდარი განონათქვამი ამ გრძობათა უხეში შედარებაა, რომელიც ქართველ ადამიანში დაუცველობის შერყენებას უქმნის.

ყოველივე ზემოთთქვამის საფუძველზე თავს უფლებას ვაძლევ, მოგმართოთ პირადად თქვენ. ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ეკლესიის როლი როგორც ერის გამართიანებელი ძალისა, ავალბებს მას, მტკიცედ მოიგვიროს თავდასხმა საკუთარ ხელშეუკუალ უფლებებზე და ქართველ ხალხს აგრძნობინოს თავისი მარადეხიული მოძღვრის მფარველობა.

ის ფაქტი, რომ საქართველოს არასოდეს წამოუყენებია პრეტენზია ქრისტიანულ სამყაროში თავისი ჰუმანიტარიზმის როლის ან საბჭოთა კულტურაში მისი დიდი წვლილის აღიარებისათვის, უდაოდ პატივისცემის იმსახურებს და შეიძლება ნიმუშად ქვეყნული სხვათათვის, მაგრამ ამავე დროს, ეს პოზიცია მოიცავს სხვათა გამუდმებული პრეტენზიების ობიექტად გადაქცევის საფრთხეს. ჩემთვის მეტად სასიხარულო იქნებოდა, თუ საქართველოზე თავდასხმები, ამის მიღმა უცოდინობა დგას თუ ხანგრძლივი ვერაგული სტრატეგია, შეუპოვრად იქნება მოკრძალებული საქართველოს ეკლესიის მხრიდან.

თქვენი უწმიდესობაზე, იმედა, გაამართლებთ თქვენდამი მომართვისა და ჩემი ღია წერილის მოტივებს.

უღრმესი პატივისცემით, დრ. მოსე ბოროდა“

მადლობის მეტი რა გვეთქმის საქართველოს შვილის, საქართველოს ნამდვილი პატრიოტის ბატონი მოსე ბოროდას მიმართ!

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში კრემლმა რევიზიონებში შექმნა თავისი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ინტერფორმების სახით, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ჩაგრული ერების თავისუფლებისათვის ბრძოლას. მაშინ იმპრიამ საქართველოში ვერ მოახერხა ინტერფორმების შექმნა, სამაგიეროდ შექმნეს აფხაზური და ოსური სეპარატისტულ-ექსტრემისტული დაჯგუფებები „აიდეოლოგია“ და „ადამონ ნიხასის“ სახით, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის კრემლისეული გეგმის განხორციელებაში. ამავეც დაუფასდა!

დღესაც იქმნება საქართველოში ქვეყნის გარედან მსგავსი ორგანიზაციები არასამთავრობოების სახით, რომელიც მოღვაწეობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ფართოდ გაშლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართული ცნობილებისა და ტრადიციების გასანადგურებლად.

ერთერთი მათგანია არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვნო საქართველო“ - ჩვენი დროის ინტერფორმები, რომელმაც ძირითადად პაიკები არიან გაერთიანებული.

ამ ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთი ამოცანაა მოკრიბობა. და მიიძიეს „ანტისომხური გამონათქვამები“, რომლებიც მათ მიერ კვალფიციტრდება ქართველი ქსენოფობიად და მსოფლიო საზოგადოების სამსჯავროზე შეადგენს „ქსენოფობი“ ქართველი ხალხი. სიმუხრმა ინტერფორმებმა თავის თავზე აიღო საქართველოში „დემოკრატიული აღმშენებლობის“ პროცესების „შედამხედველობა“, ამავე დროს ეს ორგანიზაცია დუმს სამხერთ საქართველოში აღზევებული სომხური სეპარატისტული მოძრაობის ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქმედი სეპარატისტული დაჯგუფების „რუსეთში ჯავახეთის დაისპორის“, „- Джавакская диаспора России“ -ის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ.

სომეხი დღესაც გვედგებიან ძირძველ ქართულ მიწას, ზოგადქართული კულტურის აკანის ისტორიულ სამცხე-ჯავახეთს. მათ ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ სომეხი მეცნიერის მოსაზრებას:

„სომეხმა დაივიწყეს, რომ ისინი ჯავახეთში ოსმალეთითგან მოვიდნენ მხოლოდ ვითარცა ლტოლვილები, რომ სრულებით შემთხვევით უძველესი დროითგან საქართველოს უცოდინებო კუთხეში ისინი უმდარესობად იქცნენ და ამ გარემოებისად მიუხედავდ მაინც ახალქალაქის მახრაც სომხეთის მიწაწყლად გამოაცხადეს“ (А. Шахатуньян, Административный перделель Закавказского края გვ. 70-72 და 132—133).

ამას დასტურებს რუსი ავტორი ივანენკო: ამავე დროს ოსმალეთითგან, ვარსსა და არზუმის საფარეობითგან იქაური სომხობა გამოზობდა და საქართველოში თავშესაფრს ეძებდა. რუსეთის მთავრობამ მათ მფარველობა გაუწია: თითოს 25 მან. დახმარება აღმოუჩინა და 6 წლის განმავლობაში სახელმწიფო გადასახადისგან გაათავისუფლა. ამის წყალობით 90 000 მეტი სომეხი ლტოლვილი მოაწყდა. მათ დასახლებლად სახალმწერი კომიტეტი იყო დარსებული და ზემო მოყვანილი რიცხვითგან 30 000-მდე სომეხი დასახლებულ იქმნა ახალციხისა და განსაკუთრებით ახალქალაქის მახრეებში (Иваненко op. cit. 265 — 266). ამ გარემოებათა წყალობით ახალციხე-ახალქალაქის მახრეების მოსახლეობის სურათი არსებითად შეიცვალა. წინათ აქ შედარებით მჭიდრო მოსახლეობა იყო, 1832 წ. აღწერამ კი დაამტკიცა, რომ ამ მიუღას ახლად შემოკრთებულ ქვეყანაში 50 000 ორთავე სქემის მცხოვრებიც კი აღარ იყო. უწინ. მაგ. 1828 წ. ამოდენი ხალხი მართო ქ. ახალციხეში ითვლებოდა. ეროვნული შემადგენლობის მხრითაც მდგომარეობა ჯავახეთში ანუ ახალქალაქის მახრეში ძირ-ფესვიანად შეიცვალა. თუ წინათ აქ მხოლოდ ქართველობა ცხოვრობდა, 1832 წ-ლს ქართველობა მაგიერ უმრავლესობას უკვე სომეხები შეადგენდნ და ქართველ მაჰმადიანებს რიცხვით მხოლოდ მეორე ადგილი-და ეჭირათ (Иваненко op. cit. 267). ასე შემთხვევით და ამ გზით განდგენ სომეხი ჯავახეთში, ქართული კულტურის ამ ძველის ძველს კერაში. „(ამონარიდები მოყვანილია ივ. ჯავახიშვილის ნაშრომიდან „საქართველოს საზღვრები“).

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო იმის წინ სომხების ერთმა ნაწილმა გახმობა და მხარის სომხური გუბერნიებისათვის მიერთების მოთხოვნა. იმ დროს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შესახებაც საუბრობს თავისი ზემოთხსენებულ ნაშრომში ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი: ამ კომისიაში თავმჯდომარითურთ სულ 14 კაცი იღებდა მონაწილეობას, რომელთგან 8 კაცი რუსი

იყო (თავმჯდომარე მახრის უფროსი პოდოლკა-კალინინი, მომრიგებელი მოსამართლე მტკვეიჩი. ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის უფროსი დელი-ბაში, სამაზრო ბეთიალი ტორობოვი, საუხნო ბოქალები ნაბლიგინი და ლაზარევი. დუხობორების წარმომადგენელნი ალექსი უგლოვი და ვას. გრემიაკინი), 4 ქართველი (გადასახადია ინსპექტორი თ-დი მაყაშვილი და მემამულეთა წარმომადგენელი ქართველ-მაჰმადიანი მამე-ალი-ბეგი და მუსტაფა-ბეგი ფალაჟანდვილები, პარალეტის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი მურჯინელი), და 2 სომეხი (ქალაქის მამასახლისი მეწაჭუნიაწი და ბოგდანოვის უბნის მცხოვრებთა წარმომადგენელი კარიანცი).

ბჭობის შემდგომ სამაზრო კომისიამ ერთმხრივ უარყო ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მახრის ტფილისის გუბერნიისაგან ჩამოშორება და გუბერთან (ალექსანდროპოლითან) და ერევანთან შეერთება. თავის აზრის დასახსნუთელად კომისია, სხვათა შორის, პირველად სწორედ ამ კუთხის ეკონომიურსა და მიმოსვლის საკითხს შეეხო და დაადგინა: შემცდარი აზრია, ვითომც ახალქალაქის მახრა ქ. გუბერთან (ალექსანდროპოლითან) ყოფილიყოს დაკავშირებული. მთელი ვაჭრობა და ყველა საჭირობო ინტერესები მცხოვრებლებს განსაკუთრებით ტფილისთან აერთებს, სადაც ისინი თავის საქონლს, საზოგადესა და ადგილობრივ ნაწარმოებს ასალებს და საითგანაც მოაქმთ საქონელი და ყველაფერი სახმარი მთელი მახრისათვის. ამასთანავე საქონლის გადატან-გადმოტანა მთელი წლის განმავლობაში, ზაფხულშიც და ზამთარშიაც, სწარმოებს ახალციხე-ბორჯომ-ბაკურიანის შარავით. აგრეთვე, როდონოვკა-წალკა-მანგლისზე მოკლე, პირდაპირი საუბრო გზით, რომელიც ზამთარშიაც არ იკრება ზოლზე. გუბერთან-კი (ალექსანდროპოლითან) ზამთარში ნამქერების გამო, ზოლო გაზაფხულზე წყალდიდობის და ტალახების გამო მთელ თვეებში ყოველგვარი კავშირი, საფოსტო-კი სრულებით შეწყვეტილია ზოლზე. ზაფხულშიც-კი, როდესაც გუბერის (ალექსანდროპოლის) გზა გახსნილია, მთელი საუკრო საქონელი ჯავახეთითგან (ახალქალაქის მაშ.) მაინც ახალციხეზე, ბაკურიანზე მიდის და მხოლოდ ამ მახრის ბოგდანოვის უბნის სამხრეთის ნაწილს, ზოგიერთი საქონელი, მეტადრე პრივანი, ზაფხულშითა გუბერთან (ალექსანდროპოლითან) მოსდის ზოლზე.

ახალქალაქის სამაზრო კომისიის შემო აღნიშნული ერთმხრივი დადგენილება 24 იანვარს 1914 წ. ტფილისის განსაკუთრებულმა საბჭომ იმავე შემადგენლობით, როგორც ბორჩალოს სამაზრო კომისიის მსგავსევი საკითხის შესახებ დადგენილების განსახილველად იყო შეყრილი, ერთმხრივ დაამტკიცა (იხ. Доклад члена Тифлиск. гу-берн. по крестьянским делам Присутствия И. Абхазы Председателю Особого Закавказского Комитета № 2651). (ივანე ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, § 6. სომეხთა წამოდაგება ჯავახეთის სომხეთთან შესაერთებლად და ამ საკითხის ახლო წარსული).

ჩვენი მიზანი გახლდათ ნაილად წარმოგვეჩინა მავანთა ნამდვილი სახე თავისი წარსულითა და აწმყოთი. ამისათვის მოუწმეთ ამონარიდებს თვით სომეხი და უცხოელი სწავლელების ნაშრომებიდან, რათა არ დაგეწამონ ცილი ქსენოფობიასა და „ანტიინტერნაციონალიზმში“ არნოლდ სტეფანანამ და მისმა რაზმმა.

ჩვენ კი ჩვენი მხრივ ამ წერილს დავასრულებთ დიდი სომეხი შემოქმედის,ქართველი ხალხის ნამდვილი ძმისა და მეგობრის ივანეს თუშანანის სიტყვებით:

„თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, აუცილებლად დამეთანხმებით, ქართველები საუკეთესო მეზობლები არიან“.

ამავე დროს შეგახსენებთ მის გზაბნეულ თანამემამულეებს - ფური უდონ ოვანესისეულ შვიგონებასა და ანდერძს: „იმ სომეხ მთავარს, რომელიც არ დადგება საქართველოს დასაცავად, არ ემის თავის ხალხის, მას არა გაეგება რა სომხეთის ისტორიის, ზოლო ის ქართველი, რომელიც არ დაიცავს სომეხს და სომეხის, არ იცნობს ქართველ ხალხს და არ იცის საქართველოს ისტორიული გზა“.

„საქვეყნოდ ცნობილია, რომ ოსმალეთთან ომის დროს, სადაც დაიღუპა მისი უფროსი ვაჟი, ოვანეს თუშანანმა შეიღო ქალიშვილი ვაგზანა ფრონტზე მოწყალეების დედად, და როცა ქართველ-სომეხთა ომი დაიწყო, ზოგი მის შვილებთანგან მოხვდა ერევანში, ოვანეს თუშანანმა უბრძანა შეიღებს არ მთელით მონაწილეობა ომში, თორემ ის მათ დასწყველიდა - ეს იყო დიდი სიყვარულის აქტი“. (ტიციან ტაბიძე, ნაწყვეტი მოგონებები).

ჩვენ, ქართველებმა მრავალჯერ დავიცაით განსაცდელში მყოფი მეზობელი ხალხი, მისთვის გავცეთ ყველაფერი, რისი გაცემაც კი შეიძლება. მაგრამ ახლა თხოვენ შეუღლებელსა და შეუწყნარებელს, რასაც ნამდვილად არ მოუწონებდათ მათ სულნათელი მეოსანი ივანეს თუშანანი!

სტეფანანებისაგან ქსენოფობად შერაცხვისათვის განმზადებული

ვის მიერ იქნა მიტაცებული „საქსტორტმენის“ ბალანსზე არსებული მატერიალური ქონება?



1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ქვეყანა საძარცვად ხელში ჩაიგდო კორუმპირებულმა პარტიულმა, სამეურნეო და ადმინისტრაციულმა ფუნქციონერებმა, პრივილეგირებულ ხელოვანთა კასტამ, „მარშალ“ თენგიზ კიტოვანის „გვარდიამ“ და „ადმირალ“ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონმა“ – კრიმინალურმა ავტორიტეტებმა.


1992 წლის 7 მარტს თბილისის აეროპორტში მოსკოვიდან თვითმფრინავი დაეშვა, რომლის ბორტზეც იმყოფებოდა საქართველოს რესპუბ-

ლიკის გენერალური პროკურატურის მუშაკები და რუსეთში „მოლვანე“ ქართველი კრიმინალური ავტორიტეტების ნაკრები, რომლებიც დაჰყოფინებდნენ სკკპ ცკ-ის პოლიტიბიუროს წევრს, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრს 1985–1990 წლებში, იმჟამად კი ნომენკლატურული რევანშის ბელადს ედუარდ შევარდნაძეს. ბევრის მეტყველი იყო, რომ ეს პოლიტიკური ავანტურისტი თვითმფრინავის ტრაპზე, ხელგადახვეული ჩამოიყვანეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოფიცერმა თენგიზ ეპიტაშვილმა და კანონიერმა ქურდმა ჯაბა იოსელიანმა.

ამ ალიანსის პოლიტიკური გაფორმება გახდა 10 მარტს ე.წ. სახელმწიფო საბჭოს შექმნა, რომლის „პრეზიდენტიც“ ედუარდ შევარდნაძემ, თენგიზ კიტოვანმა, ჯაბა იოსელიანმა და თენგიზ სიგუამ დაიკავეს. ამ დღიდან საქართველოს ძარცვამ კატასტროფული მასშტაბები შეიძინა. იგი ორგანიზებული და კოორდინირებული გახდა. ამ დროს განეკუთვნება თენგიზ სიგუას ე.წ. მთავრობის მიერ დადგენილებების კონვეიერული წესით გამოცემა. 1992 წლის 30 აპრილს თენგიზ სიგუას „მთავრობამ“ მიიღო დადგენილება № 482 „სახელმწიფო გაერთიანება „საქსტორტმენის“ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ“. ასეთი დადგენილებებით ხელ-ფეხი გაეხსნათ

პუტჩისტებს. მათთვის ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და ორგანიზაციის კარი გაიხსნა ლეგალური ყაჩაღობისათვის.

ნიშანდობლივია, რომ 1998 წლის 15 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული დადგენილება არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად გამოაცხადა. მაგრამ ამ დადგენილებას თავისი შავი საქმე შესრულებული ჰქონდა: ქვეყანა და მისი ხალხი სილატაკის ტაობში ჩავარდა.



„ვისი ბამბა ჩხრიალებს, ვისი კაკალის, არა!“

2002 წლის 8 აპრილს დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის, ნიდერლანდებისა და ეუთო-ს ელჩებმა საქართველოს მეგობრების სტატუსით მიმართეს იმჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თამაზ ნადარეიშვილს შემდეგი სიტყვებით: „კატეგორიულად უარვყოფთ ძალის გამოყენებას ნებისმიერი მიზეზითა და ნებისმიერი საბაბით“. „ძალის გამოყენება არ შეიძლება იყოს კონფლიქტის მოგვარების საშუალება“. „თუ თქვენ გსურთ გამოიყენოთ ძალა ან სხვა არამშვიდობიანი საშუალებები აფხაზეთში



კონფლიქტის გადასაწყვეტად, ჩვენ გვსურს ნათლად გაგაგებინოთ თქვენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ მიიღებს ასეთ მოქმედებებს“.

ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ ქვეყნებმა სად, რა მიზეზითა და საბაბით გამოიყენეს ძალა საკუთარი ინტერესების გასატარებლად, კონფლიქტების მათ სასარგებლოდ გადასაწყვეტად და რამდენჯერ მიიღო საერთაშორისო თანამეგობრობამ ეს ძალადობები სახეზეა!

ნათელია, რომ ეს ვითომცდა პაციფიზმის მოთხოვნა მხოლოდ მის მიმართაა გამიზნული, ვისაც სუსტად მიიჩნევენ.



რა შედეგებით დასრულდა რუსეთისთვის დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობის ვადა?

პოლიტიკურ ასპექტში საბოლოოდ წარსულს ჩაბარდა დასავლეთთან მეტონაკლები პარტნიორობის ეპოქა, დრო, როდესაც რუსეთი და NATO აცხადებდნენ, რომ ისინი მეტოქეები არ არიან (1977 წელი), უკვე ისტორიის კუთვნილებს.

რუსეთის ხალხისთვის კი პროფესიული კავშირების საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის

ვლადიმერ შერბაკოვისგან ცნობილი გახდა, რომ „ყოველწლიურად რუსეთიდან ოფშორულ ზონებში 50 მილიარდი ამერიკული დოლარის კაპიტალი მიედინებოდა, რომ რუსეთის მრეწველობისა და საბანკო სფეროს მსხვილ მესაკუთრეთა 95% – ეს ოფშორებია“. ჟურნალი „Вестник Профсоюза“ 2011 წ. № 11.

გვერდი მოამზადა
ქეთევან ჭანტურიამ

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია სამიძიარს უცხადებს ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრს ელენე გვიმბაძის ძმის
ლადო გვიმბაძისა
და დედის
თამარ ტოფაძის
ერთდროულად გარდაცვალების გამო. იზიარებს მის მწუხარებას თავს დატეხილ ტრაგედიასთან დაკავშირებით და უსურვებს გამძლეობას.

დასაწყისი გვ. 14

ბისათვის გადასაცემად და ზვიადს ყველანაირი დახმარება აღუთქვა.

3 დეკემბერს ორსაათიანი პრესკონფერენცია გაიმართა პრესკლუბში Concordia -ში. დასაწყისში ვანდა ვანზიდელერმა წარმოადგინა IGFმ – ის მიერ მოძიებული მასალები. მნიშვნელოვანი ნაწილი „მხედრობის“ სამეგრელოში ჩატარებულ რეიდებს დაეთმო, განსაკუთრებით – წაღწევაში განხორციელებულ მოვლენებს; წარმოდგენილი იყო მდიდარი ვიდეო- და ფოტომატიარა, პოლიტიკატიმართა დეტალური სია. ამის შემდეგ ზვიადმა მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხა. პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ იყო ცალკეული ინტერვიუები, მათ შორის – ITAP-TACC-ის კორესპონდენტთან, ააბონურ The Sehai Nippo -სთან, ვატიკანის გამოცემასთან, ავსტრიულ ÖVP-სთან – ყველა არ მახსოვს.

3 დეკემბერს, დაახლოებით 17 საათზე, საგარეო საქმეთა სამინისტროში მივიღეთ. შეხვედრას სახელმწიფო მდივანი და რამდენიმე სხვა მოხელე ესწრებოდა. ესენი შემთხვევებით და იერიშის მოსაგერიებლად გამზადებული ჩანდნენ, თანაც თავი მოისულელეს – საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი ვიცითო. ზვიადმა „დააწვანარა“: ძალიან ვაფასებ, რომ თქვენი მთავრობა გერმანულზე უფრო პრინციპულად იქცევა, ჩემთვის პატარა ქვეყნის პრობლემები გასაგებია, ვიცი, რა წყნის ქვეშავე ხარო, ფინეთშიც ანალოგიური მდგომარეობაა... შერჩათ საჩხუბრად მომართული მუშაკები პაერო.

ამასობაში ინტერვიუები გრძელდებოდა. 3 დეკემბერს, 18 საათზე Rundfunk -მა ვერცელი რადიოინტერვიუ გადასცა. 4 დეკემბერს დილით – Deutsche Funk -მა – პირდაპირ ეთერში – ძალიან კარგი ინტერვიუ. 13 საათზე – Osterreich Funk -მა ზვიადს ერთსაათიანი გადაცემა მიუძღვნა პრეს-კონფერენციის დეტალური ანალიზით და ცალკე ინტერვიუთი. რედაქციის კომენტარი: „საქართველოში პუტჩი მაფიასთან და მოსკოვთან დაპირისპირების გამო მოხდა...“ ეს უკანასკნელი ყველაზე პოპულარული ახალგაზრდული რადიოსადგურია. ზვიადის სიტყვები: „ჩვენ თავისუფალ არჩევნებში დავამარცხეთ კომუნისტები... საპრეზიდენტო არჩევნებში 5 მილიონადმდე მეფადა... მე მსახიფვე ადომ-სავლური ტიპის დიქტატორად, ფაშისტად... ჩემს წინააღმდეგ საშინელი კამპანია გაჩაღდა დასავლეთის პრესაში... პუტჩს გორბაჩოვი და შევარდნაძე ამზადებდნენ და ხელმძღვანელობდნენ... პუტჩისტებს იარაღითა და სპეციალისტებით ზარბოძებდა... საქართველოში სახელმწიფო მთავარი ჩანაცვალა...“

ვენაში ფოფისას მოგვარაოლეს ბრიტანელი დოკუმენტალისტის კრის ენერის ფილმი „Shevardnadze Unveiled“ რომლის გერმანულ ვერსიას „ნომენკლატურის რეჟანი“ ჰქვია. ჩემი აზრით, ეს ნაშრომი პროფესიული სინდისიერებისა და სამოქალაქო გმირობის ნიმუშია. განსაკუთრებით იმედის მომცემი ის იყო, რომ ფილმი Discovery-მ აჩვენა. ისეთი შთაბეჭდილება ატანებოდა, რომ ყინული დაიძრა...

4 დეკემბერს ვანდა ვანზიდელერი დაგვემშვიდობა და გერმანიაში დაბრუნდა.

ერთი დღე დაეთმო მოგზაურობას ზალცბურგში, სადაც ზვიადმა მოცარტის მუზეუმი მინახულა, ზალცბურგის გოეთეანუმი კი იმპროვიზებული ლექცია წაითხა გერმანულად. ლექცია ეხებოდა ზვიადისა და მერაბის ბრძოლას სულთქმისათვის ტოტალიტარნიზმის ეპოქაში, ანტროპოსოფიის როლს ამ ბრძოლაში. ლექციას ასამდე მსმენელი დაესწრო.

ფინეთისა და ავსტრიის გამოცდილებამ აჩვენა, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით პრეზიდენტ გამსახურდიას ერობული ტურნე ძალიან წარმატებული აღმოჩნდა (ოფიციალურ დონეზე წარმატებას არაერთი ვიდეო), ამიტომ ზვიადმა გადაწყვიტა, რომ რაც შეიძლება მეტი ქვეყანა მოეცვა. ვენაში მივმართეთ გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის საკონსულოებს, საიდანაც მიწვევები გვეკონდა მიღებული (ინგლისიდან – ჩარლზ ჩოტუასკან). მივმართეთ აგრეთვე შვეიცარიის საკონსულოს, სადაც იმ დროს ზვიადის ვაჟი – კონსტანტინე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად პოლიტიკური დევენილის სტატუსით.

აქ იწყება მოგზაურობის „დრეკექტორი“ ნაწილი, რომელიც კალენდოსკოპური სისწრაფით დატრიალდა.

შვეიცარიის კონსულმა ზვიადი საკონსულოში მიიპატიჟა და ძალიან დიდი ძალად მოგზაურობის მიზეზი ჰკითხა. ზვიადმა უპასუხა, რომ ძირითადი მიზეზი – შვილიშვილების მინახულებაა, მაგრამ უმცროსი – ზვიადი ემიგრაციაში დაბადდა და ამიტომ ნანახი საერთოდ არ ჰქავდა. კონსულმა თქვა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი სტუმრის მიღება ქვეყნისათვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასთანა დაკავშირებული, ამიტომ სასურველია იმის ცოდნა, თუ სად აპირებს შემდეგ ეს სტუმარი გაემგზავრებას. პასუხი: „სტამბოლის გავლით ჩვენეთში“. კონსული კითხულობს: „თურქეთის ვიზეტი გაქვთ?“ პასუხი: „თურქეთში გამოცხადებითი საეიზო რეჟიმია“ – ვაჩვენებთ პასპორტებს. კონსული (ძალიან კმაყოფილი გამოემტკველებით): „მე ამის შესახებ განსხვავებული ინფორმაცია მაქვს.“ (!)

სიტუაცია მართლაც საინტერესოა! საიდან უნდა იცოდეს, ან რაში სჭირდება ვენაში შვეიცარიის კონსულს იმის ცოდნა, თუ როგორი საეიზო რეჟიმი მოქმედებს თურქეთში საქართველოს მოქალაქეებისათვის? „ჩვენ არავითარ პრობლემებს არ შეგეშნით, დადებითი გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. სულ უბრალო რამ არის საჭირო: მანქნით თურქული ვიზეტი და შვეიცარულსაც დაუყოვნებლივ მიიღეთ...“ მომავალეობები დამიღობი კონსული შენობიდან გვაცილებს.

ცხადია, რომ მახეა. ზვიადი ამბობს: „წავიფეთ თურქეთის საკონსულოში“. მე ვეხვეწები: „პატრონო ზვიად, თქვენ სასტუმროში დაბრუნდით, მე ვეცდები გავარკვიო, რა ხდება.“ „არა.“ წავედით თურქეთის საკონსულოში. ზვიადი საკონსულოში შესვლისთანავე იცნეს და ატყდა აქეთ-იქით სირბილი და ჩურჩული: „გამსახურდია, გამსახურდია...“ ნათელია, რომ ელდებოდნენ. ზვიადმა მოითხოვა კონსულთან დაუყოვნებლივ შეხვედრა. რამდენიმე წუთში კონსულმა ქალმა – გვარად სოისალ – მივიღო. „რაშია საქმე?“ – ვკითხვით. „თქვენი პასპორტები თურქეთის ტერიტორიაზე ძალადაკარგულია“ – ვპასუხობს. „როდინა?“ – ვკითხვით. „დიდი ხანია.“ „კი მაგრამ, ამ პასპორტე-

ბით არ შეგვიშვს 23 ნოემბერს?“ – ვაჩვენებ ვიზეტს. მხრებს იჩეჩავს... „200 მილიონი ადამიანისათვის ძალაშია და ჩვენთვის არა?“ მხრებს იჩეჩავს... ზვიადი დადუმდა... კონსულს ვკითხვით: „სტამბოლში პრეზიდენტი გამსახურდია პრეზიდენტ ოზალს შეხვდა. ესმენიათ ამაზე რამე?“ პასუხი: „პრეზიდენტი ამჟამად თურქეთში არ იმყოფება. ამასთან, მთავრობას პრეზიდენტი კი არა, პრემიერი ხელმძღვანელობს, მე მთავრობის მოხელე ვარ“ (მაშინ პრემიერი დემირელი იყო)... „სტამბოლის აეროპორტის სატრანზიტო ნაწილში ვიზა საავტომატოლოა თუ არა?“ – ვკითხვით. მხრებს იჩეჩავს: „ამაზე ახლა ვერ ვიპასუხებთ (!). ამის დასადგენად დრო მჭირდება. დამითვით თქვენი კოორდინატები და პასუხს შეგატყობინებ“... საუბრის გაგრძელებას აზრი ვეკარგება. კონსულის ბოლო ფრაზა მოულოდნელად გულახდილია: „მე მხოლოდ მოხელე ვარ და გადაწყვეტილებებს არ ვიღებ“.

დავბრუნდით სასტუმროში. ზვიადის დავალებით ვერკე სტამბოლში – იქაურ მასპინძელთან, რომელსაც დაბრუნებისას ოზალთან ანკარაში უნდა მოეწყო შეხვედრა. მუუბნებთან, რომ რუსეთშია წასული და ტელეფონი არ დაუტოვებია (!). ძლივს მივაკვლიე კომპანიის დირექტორს, რომელიც სტამბოლში გვერდიდან არ გვეცდებოდა; აუუსხუნი სიტუაცია. ვკითხვით: „იქნებ ამისხნათ, რა შეიცვალა?“ „არ ვიცი“ – აშკარად შემინებულა. ვერაფერი ვერ დავადგინე. ზვიადი მუუბნება: „იქნებ იმ ღაზ კაცს, ზაქარიას დაუკავშირდე“. ბედად, იმის საეიზო ბარათი ვიპოვე და ძლივს დავუკავშირდი. ზაქარიაც ძალიან შემინებულა, მაგრამ პატიოსნად მუუბნება: „ძალიან ცუდი ამბებია: თქვენი აქედან წასვლიდან რამდენიმე დღეში სტამბოლის წამყვანმა გაზეტმა (თუ არ ვცდები, Miliet) გამოაქვეყნა მასალა იმის შესახებ, თითქოს გამსახურდიამ არაღიგაურად შემოაღწია თურქეთში... რომ გამსახურდია და ღუდავეი ქურთ სეპარატისტებთან თანამშრომლობენ და მათ იარაღით ამარაგებენ (!)... ყველას ესმის, რომ ეს აბსურდია, მაგრამ როგორც ჩანს, კამპანია ძალიან გავლენიანი ძალების მიერა ორგანიზებულია...“ ზაქარიას ვკითხვით, საჭიროა თუ არა სტამბოლის აეროპორტის სატრანზიტო ნაწილში მოსახვედრად სატრანზიტო ვიზა. პასუხობს, რომ ჩვეულებრივ შემთხვევებში – არა.

ეს ყველაფერი 7 დეკემბერს ხდება, 10 რიცხვში კი ავსტრიაში ფოფის ვადა იწურება. ჩვენთან დაკავშირებულ, რომ ჩარტერული რეისი გროზნოლი სტამბოლში ისეთი რეგულარობით უკვდავდებოდა ICAO-ს აკრძალვის გამო. უახლოესი ასეთი რეისი, ვერე აზერბაიჯანის დროში – ბაქოს გავლით – 12 დეკემბერს. იგეგმება.

სიტუაცია თანდათან მიძიმება. კატარინა გრებმა ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვიზეტის გაგრძელების თხოვნით მიმართა და უარი მიიღო. ჩარლზ ჩოტუა ლონდონიდან იტყობინება, რომ სამინისტრო ვიზეტის გაცემას უარობს, თუმცა ოფიციალურ პასუხს არ იძლევა. საფრანგეთიდანაც იგივე პასუხია. ამასობაში მასპინძელი – კატარინა გრები დაკარგა: IGFმ-ის ოფისში აღარ მიდის. ვერკე სახლში – შვილი მუუბნება: „ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ვიცოდე, სადა დედაჩემი“- მიკლედ, დაიძალა, ან დამალეს. ზვიადს გაეცინა: „დაძმინის უფლებების დაცვას რომ ხელობდა გაიხდის, იმ ადამიანს ბევრი არ მოეთხოვება...“ რუსულან შვიდგის ქმარი ერენი გერმანიაში რამდენიმე უცნობმა სასტიკად ცემდა, ურტყამდნენ და თან აყოლებდნენ: შენი ცოლი სად დაბრუნდებაო. პოლიციაში „დააწვანარეს“ – აღბათი სკინჰედი იყენებო. ვანდას ვერკე – გაოგნებულია და არაფერი არ შეუძლია. ვედილობით უნგრეთის პრეზიდენტს არაად გერც დაუკავშირდით, რომელთანაც ზვიადმა ჰელსიკიდან ტელეფონით ისაუბრა და მიპატიჟებაც მიიღო – იმალევა. ვერკე ბაქოში – ვერც ელჩობის, ვერც გამდიდრის (შინაგან საქმეთა მინისტრს) ვერ ვუკავშირდებო.

ამის პარალელურად „ვენაურობების“ მეორე ტალღა დაიწყო: სხვადასხვა მხრიდან არ წყდება ზარები: კოტე ნადირაშვილი – „რა დიდი თავისუფლებიდან“, კლოდ კემულარია – პარიზიდან, (ეს – რაც მე ვიცი) შევარდნაძესთან მოლაპარაკების გამართვის შეთავაზებით, გარანტიებით და ა.შ. ზვიადის პასუხი ერთია: „მე შევარდნაძეს არაფერს ვერჩი. დაიაროს რაც ჩაიღია, გადადგეს და ხელშეუხებლობის გარანტია მიეცემა...“ როგორც ჩანს, ამ ტიპის შეთავაზებები მისთვის ახალი არ იყო. შედეგებით შემამოფრთხილებია შამსუდინ ოუსეფსაგან მოსული იგივე წინადადება, რომელმაც ამასობაში წარუმატებელი არაბული ვითარებიდან გროზნოში დაბრუნება მოასწრო. ეს შამსუდინის თვითშემოქმედების ნაყოფი იყო, თუ საერთო ტალღის ნაწილი, ძნელია სათქმელია.

10 დეკემბერს, დილით, ზაქარია სტამბოლიდან იტყობინება: „თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა – არ შემოვიშვებო“. ოტტო ფონ ჰაბსბურგმა***, რომელთანაც ზვიადს მუდმივი სატელეფონო კავშირი ჰქონდა, ავსტრიული ვიზის გაგრძელებაში დახმარება აღუთქვა: „ყველაფერს ვიღონებ, ბატონო პრეზიდენტო. რაც უფრო ხანგრძლივად დამე, მით უფრო ახლა განითავდა...“

თითქმის გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა. დაუეშვით, თურქეთის მთავრობის მუქარას ვერ ვაბიჯებო, სტამბოლში ჩავფრინდით და სატრანზიტო ნაწილიდან არ გამოვიდვართ. რა გარანტიაა, რომ გროზნოლიან თვითმფრინავს ჩამოშვებენ? ეს რომ რეგულარული რეისი ფოფილიყო, იტყობი რომ ამა და ამ რეისს ელოდები... მართლაც, 12 დეკემბერს გროზნოლიან აზერბაიჯანის დროში გამოფრინდი თვითმფრინავი ბაქოში ჩაფრინდა, მაგრამ იქ გაურკვეველი დროით გაიჭვდა, რადგან თურქეთმა აღარ შეუშვა!

როგორც ჩანს, პრეზიდენტ გამსახურდიას დაკავებას ან მითუმეტეს, ექსტრადირებას ვერ გაბედავენ. სხვანაირად, რით აისხნებოდა შევარდნისა და თურქეთის საკონსულოების მიერ ერთობლივად გათამაშებული ფარსი? ყველაფერი ამაში სხვა ჩანაფიქრი ჩანდა: რამენაირად მოეცილებინათ ზვიადი კავკასიას. რადგან ჩვენეთში დასაბრუნებელი ვზა მოჭრილია, ზვიად გამსახურდიას ერთადერთი ლოკაციური გამოსავალი რჩება – მოითხოვოს პოლიტიკური თავშესაფარი, მაგ. ავსტრიაში ან სხვა ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, რომ დაუყოვნებლივ მისცემდნენ. მაგრამ ზვიადმა ეს „ლოკაციური“ გამოსავალი კატეგორიულად უარყო: „ეს კაპიტულაციის ტოლფასია...“

ვერკე გროზნოში – თვითმფრინავი ბაქოშია გაჭვდილი – არც იქით, არც აქით. ასე გაგრძელდა 13 დეკემბრის (შაბათი დღე იყო) დამემდე. ვიზეტს ყავლი გაუვიდა. დარეკა ჰაბსბურგმა: „საგარეო საქმეთა

სამინისტროში დამბრუნენ – ორშაბათს ვიზეტს გაავადრებლეთო.“

ამასობაში გროზნოში ვიტაუტას ელუკაციის გამოჩნდა. ავიაციის პოლიკონიკი, რომელიც ღუდავეის სტრატეგიული ბომბდამშენების დივიზიაში მსახურობდა, თადარიგში გასვლის შემდეგ ჯოჰარის თანამებრძოლად დარჩა, ხშირად ჩამოდიდა გროზნოში და ჩვენებს რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. ვიტასმა შესთავაზა ზვიადს: „ჩაფრინდით ვილნიუსში, არანაირი ვიზეტი არ გინდათ, იქ თქვენს მიღებას მე უზრუნველყოფ, ჯოჰარი კი თვითმფრინავს გამოგივზავნით.“ ვიტასი საკმაოდ დაახლოებული იყო ლანდსბერგისთან, მაგრამ ლიტვაში ხელისუფლება არჩევნების შედეგად ხომ ყოფილა (არსებობს კი ასეთი?) კომუნისტებმა დაიბრუნეს? მიუხედავად ამისა, ვიტასი ამბობს, რომ ყველაფერს თავის თავზე იღებს – თანაც გროზნოლიან, ვილნიუსში მაინც იყოს!. მომცა იმ ხალხის კოორდინატები, რომლებიც იქ დაგვხვდებოდა. ზვიადმა თქვა, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია.

ნაშუადამივეს, უკვე 14 დეკემბერს, წავედი ვენის აეროპორტში და ვენა-სტამბოლის ღია ბილეთები ვენა-ვილნიუსის მიმართულებაზე გადავცვალე. დავბრუნდი სასტუმროში. დაახლოებით საათნახევარში გროზნოლიან გვატყობინებენ, რომ ბაქოში 2 დღით შეჩერებული თვითმფრინავი სტამბოლის მიმართულებით გაფრინდა!

დილით დავეშვიდობეთ კონსტანტინე ზ. გამსახურდიას, რუსულად შვიდგის და 14 დეკემბერს, 11:55-ზე OS 633 რეისით ვილნიუსში გაფრინდით. საპასპორტო კონტროლი ვადაგასული ვიზეტით გავიარეთ. როგორც ჩანს, ვერ შეამჩნიეს.

ვილნიუსში 14:50 ჩავფრინდით. წვიმს. თვითმფრინავს ტრაპი მოადგეს. ტრაპთან ახლოს ორი შავი მანქანა და რამდენიმე საყვლო-აწვეულ ლაბადიანი და „შლაბიანი“ ფიგურა ჩანს – ტიპური „სამოქალაქოში გამოწვიბილი ბიჭები“. ზვიადს ვთხოვე: „პატრონო ზვიად, თქვენ ცოტა ხანს აქ დაიცადეთ – რაც გინდა იყოს, თვითმფრინავი ავსტრიის ტერიტორია – მე გადავალ და სიტუაციაში გავერკვევი“. თავი დამიქნია. კარები გააღეს თუ არა – გარეთ პირველი გავიდა. ერთი დამხედურთაგანი მოგვიახლოვდა. „პატრონი გამსახურდიას?“ „დაიხ.“ „მე ვიტაუტას რამანუსკასი ვარ (სახელი ისაა, რაც ელუკაციისმა თქვა). კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება ლიტვაში.“

უსიტყვოდ ჩავეკეთი მანქანებში – ზვიადი, მე, რამანუსკასი და მძღოლი – პირველში. დანარჩენები – მეორეში. რამანუსკასმა პასპორტები გვთხოვა და ვიდაცას გაატანა. რამდენიმე წუთში უკან მოიტანეს – მინიტი მხოლოდ ქვეყანაში შესვლის ბეჭედი ჩარტემული. დავიძარი. ასაფრენი ბილიკიდან ჭიშკრის გავლით პირდაპირ ქალაქში გამოვიდით – არც საპასპორტო, არც საბაჟო კონტროლი არ გავივლია. რამდენიმე წუთში დუმილიში ვიარა – ზვიადი გაფრთხილებულია, იტყვლებიც არ არიან დიდი მოლაპარაკე ხალხი. მივადექით ქალაქის ცენტრში განლაგებულ ფოფილ სამთავრობო რეზიდენციას. რამანუსკასი გვიხსნის, რომ რეზიდენცია ახლახან გააპირვატეს – სასტუმრო Draugit–ს გადასცეს, ახალ პატრონს ჯერ არ აუთვისებია, ამიტომ სრულიად ცარიელია – არც მაცხოვრებელი, არც მომსახურე პერსონალი არ ჩანს, მაღალი ვალავანი აქვს შემოვლებული და შესასვლელში შეიარაღებული ჯარისკაცი დგას. ორსართულიანი სასტუმრო სახლში მოგვათავსეს, რამანუსკასმა ამიხსნა, სად რა არის და ზვალამდე დაგვემშვიდობა.

სიტუაცია, ცოტა არ იყოს, კომიკურია. სად ვართ, მეგობრებთან სტუმრად თუ კომფორტულ შინაპატიმრობაში? ზვიადს ვუთხარი: სიკარული გამითავდა და ვიფიდი-მეთქი. გამოვიდი გარეთ და ჭიშკრისაკენ გავემართე. ჯარისკაცმა უსიტყვოდ გამძღო კარები. იქვე ახლოს, პირველსავე უცხოურში სიგარეტი ვიყიდე და უკან დაბრუნდი. გულზე მომეშვა.

დავერკე გროზნოში. მითხრეს, რომ ელუკაციის 16 დეკემბერს ჩამოფრინდება. ვენაში დარჩენილებს შევატყობინე, რომ სამშვიდობოს ვართ. სხვათაშორის, ჩვენი წამოსვლის შემდეგ თურქეთის კონსულს დაურეკავს და სატრანზიტო ვიზეტს უარი უთქვამს.

მეორე დღეს რამანუსკასი დილით მოვიდა და სადილობამდე ვილნიუსს გვათავლიებინებდა. მერე ზვიადს ჰკითხა: ჩემმა მუდმივმა ოჯახური სადილი მოგიშხადათ, თანაც შემეჭამა, ზვიად გამსახურდიას ნახვა მინდა და კანდიერებში ხომ არ ჩამომართმევთ, რომ მოვიყვანო? ზვიადი სიამოვნებით დათანხმდა და ჩვენს სასტუმრო სახლში რამანუსკასი ცოლიან ერთად გვეწვია. ერთად ვისადილეთ.

გვიან სადამოს უეცრად ლანდსბერგისი მოვიდა. ძალიან დაღლილი და მობრებული ჩანდა. თბილი შეხვედრა ჰქონდათ. „კომუნისტებთან არჩევნებში როგორ წააგეთ?“ – პირდაპირ ჰკითხა ზვიადმა. ოთახიდან ჩუმად გამოვიდი და ლანდსბერგისს ახსნა-განმარტება აღარ მომიძინა. დაახლოებით ორი საათი ისაუბრეს.

16 დეკემბერს, დაპირებისამებრ, ვილნიუსში გროზნოლიან ჩარტერული რეისით ტუ-134 ჩამოფრინდა, რომელსაც ვიტას ელუკაციისი და სოსო თორია ჩამოჰყვინენ. ვიტას ტრაბახობდა: კომუნისტებს მაგარი ფანდი ჩაუტარე, ახლაც აზრზე არ არიან, ზვიადი რომ აქ არის! არ ჰქონდა სატრახახო!

17 დეკემბერს ვიტასმა გროზნოლიან ჩამოსული თვითმფრინავისათვის ახალი საფრენი ნომერი და მარშრუტი გააფორმა – ვითომ ვილნიუსი-ბაქოს ჩარტერული რეისი სრულდებოდა. ცარიელ თვითმფრინავში ზვიადი, მე და სოსო თორია ჩავსხედით და ვილნიუსიდან „ბაქოსკენ“ 18:45-ზე გამოფრინდით. სამი საათის შემდეგ გროზნოსთან მოახლოვებულმა თვითმფრინავმა საპაერო-სადისპენერო სამსახურისათვის მოულოდნელი მანქერი შეასრულა და გროზნოს აეროპორტში დაეშვა. თვითმფრინავიდან გადმოსვლისას ზვიადმა თქვა: „აქ დაბრუნება თივის ზენში ნემსის პონანს ჰგავს.“

ზვიადის გროზნოში დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში თურქეთის პრეზიდენტი ტურკუტ ოზალი უეცარი გულის შეტევით გარდაიცვალა...

მერაბ კიხნაძე

დამოუკიდებლობის აქტის ხელმძღვრელი. გროზნო-სტამბოლი-ჰელსინკი-ვენა-ვილნიუსი-თბილისი 1992-2005 წწ.



სადგეთო სჯული

პირველდანიეებითი დარიგება

არქიმანდრიტის ნესტორის მიერ (ყუბანში) მიწვეული



1. ლოცვა

ლოცვა არის მიმართვა ღვთისადმი თხოვნით, მადლობით და დიდებით. ლოცვაში ჩვენ ვსთხოვთ ღმერთს, რაც გვეჭირება, მადლობას ვსწირავთ მონყალუბისთვის და ვადიდებთ მისი უზენაესობისთვის.

ლოცვით მივმართავთ აგრეთვე ყოვლად წმიდა ღვთისმშობელს, წმიდა ანგელოზებს და წმიდანებს, რომელთაც, ჩვენთვის, ცოდვილთათვის, ღვთის წინაშე შუამდგომლობა შეუძლიათ.

ჩვენ უნდა ვილოცოთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველასთვის – ცოცხალთა და მკვდართათვის.

უნდა ვილოცოთ სარწმუნოებითა და ღვთისადმი სასოებით, წმიდა გულით, გულმოდგინედ, სიმდაბლითა და ყურადღებით – უამისოდ ჩვენს ლოცვას ღმერთი არ შეინწყნარებს.

2. ლოცვის გარეგანი ნიშნები

ლოცვის დროს ჩვენ პირველად ვინერთ, თაყვანსა ვსცემთ, ვისაც ვევედრებით, მუხლთ-მოდრეკით, ანუ მეტანიით, ხელებისა და თვალების ზეცას აპყრობით და პირქვე მინაზე დამხობით. ლოცვის გარეგანი ნიშანთა შორის უმთავრესია პირველის წერა, პირველის წერას ასე ვასრულებთ: მარჯვენა ხელის ცერს, მაჩვენებელსა და შუა თითს ვაერთებთ, ხოლო უსახელო თითსა და ნეკს ხელის გულზე მოვიკეცთ. შეერთებულ სამ თითს დავიდებთ პირველად შუბლზე, მერე გულზე, შემდეგ მარჯვენა მხარზე და ბოლოს მარცხენაზე; სამი შეერთებული თითი ნიშნავს სამებას, ერთარსებასა და განუყოფელს, ხოლო ხელის გულზე მოკეცილი ორი თითი ნიშნავს იესო ქრისტეს ორ ბუნებას – ღვთაებრივსა და კაცობრივს.

როცა პირველად ვინერთ, ჩვენ გამოვხატავთ იმ რწმენას, რომ წმიდა ჯვარის ძალით განიწმინდება ჩვენი აზრი, გრძნობა, სურვილი და საქმენი. პირველის წერას ვუერთებთ თაყვანისცემას და ლოცვის სხვა ნიშნებს და ამით გამოვხატავთ ჩვენს კრძალვასა და თავმდაბლობას ღვთის წინაშე.

3. სალოცავი ადგილი და დრო

ჩვენ შეგვიძლიან ვილოცოთ ყველგან, იმიტომ რომ ღმერთი ყველგან არის; ის ყველგან გვისმენს და გვხედავს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა ვილოცოთ შინ და ეკლესიაში.

ჩვენ უნდა გვქონდეს შინ წმიდა ხატები და მათ წინ უნდა ვლოცულობდეთ. ხატი არის სახე უფლისა ღვთისა, მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა, ანგელოზებისა და წმიდანებისა. ჩვენ ვლოცულობთ ხატების წინ იმიტომ, რომ ისინი მოგვაგონებენ ღმერთსა და წმინდანებს.


როცა ჩვენ ხატების წინ ვლოცულობთ, ხესა და საღებავს კი არ ვევედრებით, არამედ იმით, ვინც ხატებზეა გამოსახული. ხატების წინ ვანთებთ ზეთ-ჩასხმულ კანდელებსა და წმიდა სანთლებს. ეს ნიშნავს ჩვენი სარწმუნოებისა და სიყვარულის სინათლესა და სინაზობას.

ჩვენ უნდა ვლოცულობდეთ ყოველთვის, იმიტომ რომ ღვთის შემწეობა ჩვენთვის ყოველ წამსაა საჭირო, მაგრამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე ზრუნვა ბევრ დროს გვართმევს; ამიტომ უნდა ვილოცოთ განსაზღვრულ დროს, სახელდობრ:

დილას, როცა ძილისაგან ავდგებით, საღამოს, როცა დასაძინებლად ვემზადებით, სწავლის წინ და სწავლის შემდეგ, სადილ-ვახშმის წინ და გათავების დროს, ყოველი საქმის დაწყების წინ და გათავების შემდეგ.

4. მოკლე ლოცვები

1.სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა



წმიდისათა. ამინ.

ამინ – ჭეშმარიტად აგრეა.

2.დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

3. უფალო, შეგვიწყალენ.

4. ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას.

მილხინე – მიშველე, ჭირისაგან გამომიხსენ.

5. მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა.

ოდეს – როდესაც.

6. იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე.

ამიერითგან – ამ დროიდან; უკუნისამდე – საუკუნოდ.

5. ლოცვები ყოვლად წმიდა სამებისადმი

1. წმიდაო, ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ.

2. დიდება მამასა, და ძესა, და წმიდასა სულსა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ან-ახლა; მარადის-ნიდაგ, მუდამ; უკუნითი უკუნისამდე – საუკუნოდ.

წმიდაო წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ,

სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა.

უფალი საბაოთ – უფალი ზეცის მხედრობათა, ე.ი. ანგელოზთა.

ყოვლად წმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვილხინენ ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვიხსენ უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

შეგვიხსენ – გვაპატივე, მოგვიტევე. უსჯულოება – ცუდი საქმე, ცოდვა. უძლურება – ავადმყოფობა.

6. ლოცვა იესო ქრისტესადმი

უფალო იესო, ქრისტე, ძეო ღვთისაო, მეოხებითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისა და ყოველთა წმიდათა შეგვიწყალენ ჩვენ.

7. ლოცვა სულისა წმიდისადმი (იგივე სწავლის წინ)

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინის მცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მადლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელი ცხოვრებისაო, მოვედ ჩვენ შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბინისა, და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

მეუფეო – მეფეო; ზეცათაო – ზეციერო; საუნჯე – სალარო, ძვირფასი ნივთის შესანახი ადგილი; ბინი – სისაძაგლე, სიციუდე. სახიერი – მეტად კეთილი.

8. უფლის ლოცვა (იგივე სადილ-ვახშმის წინ)

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევეთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

სუფევა – სასუფეველი; ვითარცა – როგორც; ეგრეცა – ეგრეთვე; პური არსობისა – დღიური საზრდო; თანამდები – მოვალე; განსაცდელი – ისეთი შემთხვევა, რომელიც გაჭირებაში აგდებს კაცს; რამეთუ – რადგანაც.

9. ლოცვები ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისადმი

1.ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო, გვაცხოვნენ ჩვენ.

2.ღვთის-მშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშვე სულთა ჩვენთა.

მიმადლებული – მადლით შემოსილი; კურთხეული ხარ – დალოცვილი ხარ, სახელ განდიდებული ხარ.

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55

ვებგვერდი: <http://ganmatavisuflebeli.webs.com>

ელ.ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com